

გაზეთი ბეჭდის, „ვერსია“ ერთი

ვერსია



60 თეთრი №102 (1128) 14 - 15 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

ახალი ვირუსი სისხლის გადასხმით
პრესდება და ბავშვებში დაიბრუნა ინფექცია



მსოფლიო მეცნიერები
ჩიხში აღმოჩნდნენ **33.7**

სქამა, რომლითაც „რუსთავი 2“-ის სკანდალს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნისთვის გამოიყენებენ!

WE GET TOGETHER

ოპოზიციის 19 თებერვრიდან უვადო აქციებს იწყებს

საქართველოს მოქალაქეები ბრაზილიაში ოლიმპიადაზე უპრობლემოდ გაემგზავრებიან



რა სარგებელს მოუტანს
საქართველოს სამხრეთ
ამერიკის ქვეყნებთან
უვიზო რეჟიმი

ექსკლუზიური ინტერვიუ საგარეო საქმეთა სამინისტროს
ამერიკის დეპარტამენტის დირექტორ **ლავით ჟოჭუასთან** **33.5**

საბანკო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს დაუბრუნდა

რას ნიშნავს საკონსტიტუციო
სასამართლოს გადაწყვეტილება
და როგორ იმუშავებს
33.2 ახლადშექმნილი საფინანსო
ბედამხედველობის სააგენტო

საგანგებო პატიმრის ქველმოქმედება

როგორ ახანიდებდნენ
მაცურებლები ზონაზე სასუდიერო
პირებისგან შესუდ ფულს



33.6

**კატიმრის
დღიური**



რატომ ჩამოაწერა ფინანსთა
მინისტრმა 10 000 მენარკენ **33.4**
1 მილიარდი ლარის დაპოლიანება

საბანკო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს დაუბრუნდა

რას ნიშნავს
საკონსტიტუციო
სასამართლოს
გადანყვეცილება და
როგორ იმუშავებს
ახლად შექმნილი
საფინანსო
ზედამხედველობის
სააგენტო



მანია მიხეილაძე

593-51-90-12

საკონსტიტუციო სასამართლომ საფინანსო
ზედამხედველობის სამსახურის მუშაობა
შეაჩერა. 12 ოქტომბერს, საკონსტიტუციო
სასამართლომ წარმოებაში მიიღო
საპარლამენტო ოპოზიციის — ნაციონალური
მოძრაობისა და თავისუფალი დემოკრატების
სარჩელი, რომელსაც 39 დეპუტატი აწერს ხელს.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატების, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურისა და მისი მოადგილის, ნოდარ ებანოიძის საკანონმდებლო ინიციატივით, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანულ კანონში“ ცვლილების პროექტი მომზადდა. ამ ცვლილებებს პარლამენტმა 2015 წლის 3 სექტემბერს დაუჭირა მხარი, რომლის თანახმად, ეროვნული ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური გამოეყო და ცალკე სტრუქტურად, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოდ ჩამოყალიბდა.

საპარლამენტო ოპოზიციის — ნაციონალური მოძრაობისა და თავისუფალი დემოკრატების ინიციატივით, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სარჩელი მომზადდა, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, სადავო ნორმების მოქმედებას შეეძლო, ეჭვქვეშ დაეყენებინა არა მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობა, არამედ გამოენვიო კონკრეტული პირების (საბანკო ურთიერთობის მონაწილეების, ინვესტორების, მენაბრეების) უფლებებისა და ინტერესებისათვის გამოუსწორებელი შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონიც შეაჩერა და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ფუნქციების შესრულება ისევ ეროვნულ ბანკს დააკისრა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა **პეტრე ცისპარიშვილმა**, „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ეროვნული ბანკი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია: „მისგან საბანკო ზედამხედველობის სამსახურის გამოცლა და ახალი სააგენტოს შექმნა, რომელიც ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ გუნდს უნდა დაქვემდებარებოდა, კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ამით ქვეყნის საინვესტიციო გარემო მყისიერად დაზიანდებოდა, რადგან არცერთ ინვესტორს არ სურს ისეთ გარემოში შემოსვლა, სადაც საბანკო სფეროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა აკონტროლებს. „ქართულ ოცნებას“ თავისი ბუნებით დამოუკიდებელ სექტორში — საბანკო სფეროში სურდა ცხვირის შეყოფა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს პროცესი დავაპაუზებოდა. რაც შეეხება მეჭიაურ-ი-ებანოიძის საკანონმდებლო ინიციატივას, ყველასთვის ცხადია, რომ ამით ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, გიორგი ქადაგიძეს ებრძოდნენ, რომელიც დამოუკიდებელი ფიგურაა. ის „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ახირებებს არ დაემორჩილება, რადგან საკუთარი პროფესიული შეხედულებები აქვს. საბანკო ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკიდან გამოყოფა ქადაგიძის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა იყო, ეროვნული ბანკის დასუსტებისა და მთლიანად საბანკო სფეროს გაკონტროლების მცდელობაც. ამ სააგენტოს საშუალებით, ქართულ ბანკის მმართველს სხვა ბანკების ბრუნვასა და ანგარიშებზე ექნებოდა წვდომა“.

ექსპერტმა იურიდიულ და ეკონომიკურ საკითხებში **ლევან ალაფიშვილმა**, „ვერსიას“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული შინაარსი განუმარტა. მისი თქმით, ოპოზიციონერი დეპუტატების სარჩელის წარმოებაში მიღებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიზანშეწონილად ჩათვალა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ეროვნული ბანკის სისტემა შეენარჩუნებინა: „ფაქტობრივად, პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი, რაც თვეების განმავლობაში, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინააღმდეგ, მმართველი გუნდის წარმომადგენლების გააფთრებულ ბრძოლაში გამოიხატებოდა, საკონსტიტუციო სასამარ-

თლომ კონსტიტუციურ და სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში დააბრუნა. რაც შეეხება კითხვას, რას შეცვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე შექმნილ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობაში, გიპასუხებთ, რომ სააგენტოს მმართველი საბჭოს შექმნა, მის ამოქმედებას არ ნიშნავს. თუმცა საბანკო ზედამხედველობა პასუხისმგებელი უწყებებისა და თანამდებობის პირების გარეშე არ დარჩება, იქნება ეს ეროვნული ბანკის საბჭო თუ უშუალოდ ეროვნული ბანკი და არა მისი პრეზიდენტი, რომელიც ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიმღები არ არის. თვეების განმავლობაში, მმართველი გუნდის წარმომადგენლები ძირითადად ქადაგიძეს ეს-ხმოდნენ თავს, რაც არაჯანსაღი პოლიტიკური პროცესი იყო. ხელისუფლებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა, ეროვნული ბანკის საბჭოს რომელიმე წევრის პასუხისმგებლობის საკითხი დაესვათ, ამიტომ ქვეყნისა და სახელმწიფოს დამზიანებელი, პოლიტიკურად მოტივირებული გზა აირჩიეს. ეროვნული ბანკიდან საბანკო ზედამხედველობის გამოყოფა-არგამოყოფის საკითხს რომ გავაუხე არ აქვს ვალუტის კურსსა და ეკონომიკაზე, ეს უკვე პოლიტიკურად მოტივირებულმა სუბიექტებმა — ფინანსთა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრებმაც კი აღიარეს“.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონი, რომლითაც ეროვნულ ბანკს საბანკო ზედამხედველობის სამსახური გამოეყო, ანტიკონსტიტუციურად ჩაითვლება? დეპუტატებს მათ მიერ მიღებულ კანონში ისევ ცვლილებების განხორციელება მოუწევთ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება ავტომატურად ძალაში შევა?

ლევან ალაფიშვილი: „საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა საკონსტიტუციო სარჩელით, ეროვნული ბანკის შესახებ ცვლილებების კანონის ყველა ნორმა გასაჩივრებელია. სამართლებრივად ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საკონსტიტუციო სასამართლო ყველა გასაჩივრებულ და სადაო ნორმასთან მიმართებაში, მათ ანტიკონსტიტუციურობას დაადგენს, ამას დამატებით აღსრულებს მექანიზმები არ დასჭირდება, ანუ პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები არ ამოქმედდება. თუმცა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ერთი ან რამდენიმე ნორმის ანტიკონსტიტუციურობას დაადგენს, შესაძლოა, ამას პარლამენტში დამატებითი მსჯელობა და კანონში ცვლილებების გატარება მოჰყვეს“.



შს მინისტრმა თურქ კოლეგას სამიძრის წერილი გაუგზავნა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი მწუხარებას გამოთქვამს თურქეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტის გამო, რამაც 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შინაგან საქმეთა მინისტრმა თურქი ხალხის მხარდაჭერა და თანადგომა გამოხატა. „ეს იყო დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული შეტევა. ჩვენ მხარდაჭერას ვუცხადებთ თურქეთის მთავრობას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“, — აღნიშნულია სამიძრის წერილში. გიორგი მღებრიშვილმა თურქეთის საელჩოში გახსნილ სამიძრის წიგნში ჩანაწერი დატოვა.

„პია“

„ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ვალდებულებები ევროპის საბჭოს მიმართ“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებს, ბორის სილვერისა და კერსტინ ლუნდგრენს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა თანამშრომლობის საკითხები და ქვეყანაში მიმდინარე პროცესები განიხილეს. საქართველოს მთავრობის მეთაურმა სტუმრებს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შესახებ მიახლოდა ინფორმაცია. საუბარი შეეხო სასამართლო რეფორმას, პენიტენციური სისტემისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებს. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრების მხრიდან ხაზი გაესვა მთელ რიგ სფეროში მიღწეულ პროგრესს. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საარჩევნო საკითხებზე. PACE-ის წარმომადგენლები წინასწარჩვენო პრიორიტეტებით დაინტერესდნენ. ირაკლი ლარიბაშვილის განმარტებით, ხელისუფლების პრიორიტეტია კონკურენტუნარიანი და თავისუფალი საარჩევნო გარემოს განმტკიცება, მთავარი ამოცანა კი — ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

„პია“

ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ალიანსის წევრ ქვეყნებს საქართველოს მხარდაჭერის გაქლიჩაბისკენ მოუწოდებს



ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეამ ყოველწლიური რეზოლუცია მიიღო, სადაც საქართველოს შესახებაც არის საუბარი. რეზოლუციის ერთ-ერთ თავში, სახელწოდებით ნატო-ს „ღია კარის და პარტნიორობის პოლიტიკის“ გზით უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება“, ასამბლეა კვლავ ადასტურებს სრულ და უწყვეტ მხარდაჭერას ნატო-ს გაფართოებისა და საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, მონტენეგროს, მაკედონიის ნატო-ს წევრობისკენ მისწრაფების მიმართ. ამავე თავის მე-10 პუნქტში ასამბლეა ნატო-ს წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს მოუწოდებს, გააგრძელონ ნატო-ს უელსის სამიტზე შეთანხმებული მხარდაჭერა ასპირანტი ქვეყნების მიმართ, მათ შორის გააგრძელონ მხარდაჭერა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების მიმართ. საპარლამენტო ასამბლეა ასევე, ნატო-ს მოუწოდებს მომავალ სამიტზე, ვარშავაში კიდევ ერთხელ გაიმეოროს გასულ სამიტზე აღებული ვალდებულება „ღია კარის პოლიტიკასთან“ დაკავშირებით და განიხილოს სხვა ასპირანტი ქვეყნების — საქართველოს, ბოსნია-ჰერცეგოვინისა და მაკედონიის სრული წევრობისკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა, რაც ეფუძნება ვაშინგტონის შეთანხმების მეთავე პუნქტით დადგენილ პირობების ფარგლებში მიღწეულ პროგრესს. ასამბლეა საქართველოს მოუწოდებს, სრულად განახორციელოს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში აღნიშნული რეკომენდაციები და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ჰელსინკის 2015 წლის დეკლარაციის რეკომენდაციები. ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრ მთავრობებსა და პარლამენტებს მოუწოდებს, გაზარდოს პარტნიორი ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის დახმარების აღმოჩენის სიმძლავრე სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში. ერთ-ერთ პუნქტში საპარლამენტო ასამბლეა ნატო-ს წევრი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს მოუწოდებს, განაგრძონ მხარდაჭერა და წვლილის შეტანა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში, რომელიც საქართველოს ემხარება, დაინაწილდეს ალიანსის წევრობისკენ მიმავალ გზაზე მომზადების მხრივ. ასევე, ასამბლეა მიესალმება არსებითი პაკეტის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს, განსაკუთრებით ნატო-საქართველოს პირველი ერთობლივი წვრთნების ჩატარებას და ერთობლივი სასწავლო ცენტრის ინაუგურაციას.

„პია“

ენიშ კომპანიის
599-95-33-16

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე პროცესი ჩიხში შედის. როგორც ჩანს, სადავო არხი მარტო ამ და შემდეგი კვირის მთავარი თემა კი არ იქნება, პოლიტიკურ დღის წესრიგს ხელისუფლებასა და ოპოზიციასაც შეუცვლის. ეს უკანასკნელი კი თავის სამოქმედო გეგმას მთლიანად „რუსთავი 2“-ზე ამყარებს. ამ თემაზე „ვერსია“ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში მუშაობდა და ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტე 13 ოქტომბერს არხის გენდირექტორის, გვარამიასა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შეხვედრამაც დაადასტურა. მანამდე კი ამავე პარტიებმა „რუსთავი 2“-ის და ზოგადად, მედიის მხარდამჭერი განცხადებები გაავრცელეს. არხის გარშემო მიმდინარე პროცესი პოლიტიკური რომაა, არახალია. პროცესის კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებასა და ფაქტობრივად, მის ჩიხში შეყვანას კი ოპოზიციასთან ეს შეხვედრა და ამ თემაში, ქიზარ ხალვაშის გარდა, მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის გამოჩენაც ადასტურებს.

12 პარტიით დაკომპლექტებულმა ე.წ. ინტერპარტიულმა ჯგუფმა, რომელშიც ნაციონალური მოძრაობა არ შედის და „მეცამეტე გოჭად“ ეტმანსება, თავის პოლიტიკას გადახედდა. ოპოზიცია მიხვდა, საარჩევნო კოდექსი ის საკითხი არ არის, რომლითაც პოლიტიკურ პროცესებში გარდატეხას შეიტანს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სულ არ აღუვლებს, არჩევნები მაყორითარული წესით ჩატარდება თუ პროპორციულით. მიხედვით იმასაც, რომ თუ სურთ, „ნამდვილი“ და არა „სატელიტი“ ოპოზიციის იმიჯი დაიმიკვიდრონ, უარი უნდა თქვან ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა შეთავაზებაზე, რესურსებზე და ეს პარტია საერთო ოპოზიციური მაგიდიდან ააგდონ. ნაციონალურ დისტანციონების პროცესი უკვე დაწყებულია, რადგან ინტერპარტიული ჯგუფის უკლებლივ ყველა პარტიამ, ერთხმად გამოიცხადა ნაციონალურთან ერთად აქციებზე გასვლა და ხელისუფლების ვადამდე გადადგომის მოთხოვნა. ასევე, ოპოზიციური სპექტრიდან არავის უპასუხია, გავლენ თუ არა ნაციონალურთან ერთად 17 ოქტომბერს კანცელარიის წინ, „გაზპრომის“ წინააღმდეგ დაანონსებულ აქციაზე. მაშინ რა არის მწვავე პოლიტიკური თემა, რომლის გარშემოც ოპოზიცია კონსოლიდირებასა და ხალხის აყოლებას მოახერხებს — „რუსთავი 2“! ბოლო ინფორმაციით, „რუსთავი 2“-ის მენეჯერებისა და ქიზარ ხალვაშის სასამართლო პროცესის მორიგი სხდომა 19 ოქტომბრამდე გადაიდო. მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ „რუსთავი 2“-ის შუამდგომლობა, სხდომის გადადების, მოსამართლის აცილებისა და საქმის მოსამართლეთა კოლეგიის განხილვის შესახებ არ დააკმაყოფილა. თუმცა არხის ადვოკატებმა სამხარაულის ბიუროს იმ ექსპერტის დაკითხვა მოითხოვეს, ვინც, ქიზარ ხალვაშის თქმით, ამტკიცებს, თითქოს მას „რუსთავი 2“-ის სანაცვლოდ იმაზე ნაკლები თანხა გადაუხადეს, ვიდრე კომპანია ღირდა. გარდა ამისა, საქმეში გაჩნდა დამატებითი დეტალები — გასაჯაროვდა მოსამართლე ურთმელიძის ოჯახის წევრთა შორის არსებული კონფლიქტის დეტალები და ისიც, რომ მოსამართლის დედის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. არხის ადვოკატები მოსამართლის აცილებას სწორედ იმ მოტივით მოითხოვენ, რომ მასზე ხელისუფლება ზეწოლას ახდენს და „რუსთავი 2“-თან მიმართებაში მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს. „ვერსიასთან“ საუბრისას, ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციური პარტიები სასამართლო პროცესის დასრულებას „რუსთავი 2“-ის მენეჯერების დამარცხებით ვარაუდობენ. ამ სცენარზე ანკობილი არასაპარლამენტო ოპოზიციის გეგმაც, რომელიც 15 ოქტომბრიდან ნელ-ნელა ამოქმედდება და პიკს 19 ოქტომბრისთვის მიაღწევს. „ოცნების“ მიერ „რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდება სწორედ ის საკითხი იქნება, რომელსაც ოპოზიცია ჩაეჭიდება. თუ ეს თემა მოკვდება, ოპოზიციაზე ზედ დაყვება — ამ საკამოდ ღია ტექსტით გვესაუბრა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე სრული შეთანხმება ერთი პარტიის უპასუხოვს გამო არ არსებობს. ოპოზიციური სცენარი ასეთია:

19 ოქტომბერს, თუკი სასამართლო პროცესი ქიზარ ხალვაშის გამარჯვებით დასრულდება, არასაპარლამენტო ოპოზიცია, ნაციონალურებისა და პატრიოტთა ალიანსის გამოკვებით, პარტაქტივის მობილიზებას ახდენს, „რუსთავი 2“-ის შენობის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიას იკავებს და ქიზარ ხალვაშს, მის წარმომადგენლებსა და სამართალდამცავებს შენობაში შესვლის საშუალებას არ მისცემს. ამ სცენარზე, ნინო ბურჯანაძიდან დაწყებული, შალვა ნათელაშვილით დასრულებული, ყველა ხელს აწერს. ამ დროისთვის, უცნობია მხოლოდ ერთი პარტიის, „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია. ირაკლი ალასანიას ქუჩის აქციებს არ სწყალობს და მიიჩნევს, რომ „რადიკალურის“ იმიჯი მისთვის ნამგებია იქნება, — დასძენენ ოპოზიციის კულუარებში.



ოპოზიცია 19 ოქტომბრიდან უკვე აქციაზე იწყებს

სქემა, რომლითაც „რუსთავი 2“-ის სკანდალს ვადამდე არჩევნების მოთხოვნის გამოიყენებენ!

თუმცა ირაკლი ალასანიამ საჯარო განცხადება გააკეთა და დასძინა, რომ მისი პარტია „რუსთავი 2“-ს დაიცავს. შესათანხმებელი, ალბათ, მხოლოდ დაცვის ფორმებია. ნებისმიერ შემთხვევაში, ოპოზიციურ სპექტრში ჯენტლმენური შეთანხმება უკვე არსებობს, რომლის დეტალებზე პარტიებმა გასულ შაბათ-კვირას მოილაპარაკეს. ჩვენი ინფორმაციით, მოლაპარაკებებში აქტიურად ჩაერთო ნინო ბურჯანაძეც. ლოგიკურია იმის გახსენება, რომ ბურჯანაძეს, განსაკუთრებით, ავადსახსენებელი 26 მაისის შემდეგ, ტელეკომპანიის მიმართ დიდი სიმპათიები არ ჰქონია. მეტიც, იგი რამდენიმე მედიასა-შუალედისთვის, მათ შორის „რუსთავი 2“-სთვის ჩივილსაც კი აპირებდა, თუმცა ეს ყველაფერი ახლა მეორე პლანზე იწაცვლება, რადგან ბურჯანაძეს მასების „ამგდები“ თემა სჭირდება, ოპოზიციას კი ერთიანობა. არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ რადიკალური ქალბატონი 26 მაისს რუსთაველზე მარტო დარჩა, რასაც ოპოზიციას დღემდე აყვადებდა, თუმცა დღეს არჩევანი არცერთ მხარეს არ აქვს — გამოსავალი ერთად ყოფნასა და ერთი, პოპულარული თემის გარშემო აგორებულ ტალღის ჩაბმაშია, ასეთი კი, ამ ეტაპზე, არც საარჩევნო კოდექსია და არც „გაზპრომი“. ოპოზიციას „რუსთავი 2“-ის იქეთ გზა არ აქვს! პირად საუბარში ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ისიც აღნიშნა, რომ „რუსთავი 2“-ის თემის „გახურება“ ოპოზიციისთვის ნაუგებელი თამაშია. თუ სასამართლო განაჩენს არხის მენეჯერების წინააღმდეგ გამოიტანს, ოპოზიცია სიტყვის თავისუფლების დაცვას უკვე აქციებით გეგმავს.

მაყურებელი, რომელსაც, როგორც ამომრჩეველს, გაცილებით მეტი სიმპათია ნაციონალების მიმართ აქვს, თავისკენ გადმოიბიროს. ოპოზიციის ფიქრების შესახებ ნაციონალებმაც რომ იციან, ამაში ორი აზრი არაა. გასაგებია ისიც, რომ დანარჩენი ოპოზიციის შემადგენლობა არცთუ შთამბეჭდავია, განსაკუთრებით, თუკი მათ რამდენიმე ნაწილად დაეშლით. თუმცა ნუთით დაფუშვით, რომ ოპოზიციამ გამოაკლისის სახით, გაერთიანება მოახერხა. მაშინ ასეთ სურათს ვიღებთ: ეროვნული დემოკრატები, ევროპელი დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები, ზურაბ ხარატიშვილის პარტია, კახა კუკავა, ნინო ბურჯანაძე, ქრისტინა-დემოკრატები, ირაკლი ალასანი, ირაკლი ლლონტის პარტია და მარადუკვდავი შალვა ნათელაშვილი. მხოლოდ ამ ხალხმა თავისი პარტიიდან 20-20 აქტივისტიც რომ წამოიყვანოს და უკვე აქციაზე დასხას, არც ისე უსუსურ შემადგენლობას მივიღებთ. თან, კუკავა-ბურჯანაძის გამოცდილებას თუ გავიხსენებთ ქუჩის აქციების „მართვაში“, შესაძლოა, ოპოზიციამ „ერთ პატარა დაშლასაც“ გამოკრას ხელი და მისიაც შესრულებული იქნება — დარბეული ოპოზიციის მთავარი სლოგანი გახდება ის, რომ ნაციონალების დარად, „ქართული ოცნებაც“ რეჟიმია! ახლა რაც შეეხება ორ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ოპოზიცია იმოქმედებს: ამ სცენარის ნებისმიერი განვითარება ბოლოს მაინც არჩევნება, ვადამდე იან ვადიანი.

გათვლილია ისიც, რა მოხდება, თუკი ხელისუფლებას მათი აქციის დარბევა მოუწევს. ოპოზიციას ამის არათუ ეშინია, პირიქით, დიდი სურვილიც ჰქონია, რადგან ეს ერთადერთი გზაა პოლიტიკური პროცესის ჩიხში შესაყვანად და ვადამდე არჩევნების მოსათხოვნად. ამ გეგმაში პირველი ვილინიოს როლი ნაციონალებს არ უნდა შეხვდეთ, რადგან ოპოზიციურ სპექტრს სურს, „მეცამეტე ძალა“ დაირქვას ოცნება-ნაციონალების ორპოლუსიან პოლიტიკურ სეგმენტში.

თუ ისე მოხდა, რომ ვითარება აირია და „რუსთავი 2“-მა ხელისუფლება გადაიყოლა, მაშინ ვადამდე არჩევნებზე, დიდი ალბათობით, ოპოზიცია ერთიანი, დაახლოებით 10-პარტიული ბლოკით იქნება წარმოდგენილი. თუმცა ეს მხოლოდ ფორსაჟორის შემთხვევაა. ხოლო თუ პოლიტიკური ვითარება ჩაცხრა, მაშინ ოპოზიცია შეინარჩუნებს იდეურ ერთიანობას, უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდამდე და შემდეგ რამდენიმე ნაწილად დაიშლება. ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ბლოკის შექმნაზე ერთმანეთში მხოლოდ პაატა დავითაია, ზაჩუკი ქარდავა, გოჩა ჯოჯუა, კახა კუკავა და ზურაბ ხარატიშვილი საუბრობენ.

ამ მოლაპარაკებებში ნაციონალები არ მონაწილეობენ. გათვლა კი იმაზეა, ოპოზიციამ „რუსთავი 2“-ს მხარდამჭერი

პარსიანიუსი პრეზიდენტის ახალი მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე გახდა



საქართველოს პრეზიდენტს ახალი მრჩეველი ჰყავს. გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებით, პოლიტიკურ საკითხებში, მისი მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე გახდა. პრეზიდენტმა „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილი ლიდერი თავად წარადგინა: „ფიქრია ჩიხრაძე ადმინისტრაციაში ძალიან მნიშვნელოვან პოსტს დაიკავებს და მონაწილეობას მიიღებს იმ პროცესებში, რომელშიც ჩართულია პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია. ბუნებრივია, ჩვენ თანამშრომლობა ვთხოვეთ ფიქრია ჩიხრაძეს, გამოიმდინარე მისი შთამბეჭდავი და ხანგრძლივი პოლიტიკური წარსულიდან. ქალბატონი ფიქრია სტუდენტობიდან მასსოვს, დაახლოებით 30 წლის წინ, როდესაც ჩაბმულები ვიყავით პოლიტიკაში და ასევე, შემდგომაც. ეს არის ადამიანი, რომელსაც აქვს ინტენსიური პოლიტიკური გამოცდილება და ძალიან კარგი პოლიტიკური კონტაქტები. ბუნებრივია, ფიქრია ჩიხრაძე იმუშავებს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და ერთად დავეგეგმავთ იმ ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას, რომელიც საქართველოს წინაშე დგას. მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენს სრულ ღირებულებით თანხმობას, რადგან ძალიან ბევრ საკითხში გვაქვს იმის ერთნაირი ხედვა, რაც უნდა გაკეთდეს დღეს ქვეყანაში, ერთნაირად ვხედავთ იმ პროცესებს, რაც უნდა განხორციელდეს. მაგრამ, ამავე დროს ჩვენი თანამშრომლობა იქნება ერთმანეთის შემცველი, რადგან ჩვენს გუნდში მოდის კვალიფიციური და სერიოზული პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანი.“

რაც შეეხება პარტიის ახალი თავმჯდომარის არჩევას, „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკური მდინის, მანანა ნაჭყებიას განმარტებით, მის არჩევაში რაიონული ორგანიზაციების დელეგატებიც მიიღებენ მონაწილეობას: „ლიდერების დეფიციტი არ გვაქვს. დეკემბერში პარტიის ყრილობა ჩატარდება და მიიღებს გადაწყვეტილებას, ვინ გახდება ახალი თავმჯდომარე.“

მანია მიხეილაძე
593-51-90-12

საქართველოს ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, ის დავალიანებები, რომელთა ხანდაზმულობის ვადა გასულია, მთავრობის გადაწყვეტილებით, კომპანიებს ჩამოაწერეს. ნების განმავლობაში, 10 000 მენარმეს, დაახლოებით, 1 მილიარდ ლარზე მეტი საგადასახადო ვალდებულება დაუგროვდა, რაც ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ აპატივა. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლის საფუძველზე ჩამოაწერეს კომპანიებს დავალიანება და კონკრეტულად ვის შეეხო ამ ტიპის ამნისტია — მსხვილ, მცირე თუ საშუალო ბიზნესს.

„ვერსია“ ფინანსთა მინისტრის შემოსავლების სამსახურის სა-ზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსს, **თამარ ანდრიაძეს** დაუკავშირდა:

— საგადასახადო კოდექსის რომელი მუხლის საფუძველზე მიიღო ფინანსთა მინისტრმა ასეთი გადაწყვეტილება?

— თქვენი კითხვის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2014 წლის 12 დეკემბერს, ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში და 309-ე მუხლის 37-ე ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, ჩამოაწერეს დაექვემდებარა: ა) 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება; ბ) 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი, აღიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული აღიარებული ჯარიმა, აღიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამოწერამდე აქტივობები არ უფიქსირდება. ზემოაღნიშნული არ შეეხება პირის მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენას; გ) საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისთვის, ფიზიკური პირისათვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

— კონკრეტულად, რომელ კომპანიებს ჩამოაწერა საგადასახადო დავალიანება?

— რაც შეეხება საგადასახადო ვალდებულებას ჩამონათვალს, რომლებსაც ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე ჩამოაწერა საგადასახადო დავალიანება, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით, ეს ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოა.

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადება „ფაქტ-მეტრმა“ გადამოწმა და სამინისტროს რამდენიმე კითხვით მიმართა: 2013 წლიდან დღემდე, რამდენ საქმეს გაუვიდა ხანდაზმულობის ვადა და რამდენი გადამხდელს ჩამოაწერა საგადასახადო ვალდებულება? 2010-2012 წლებში, რამდენ საქმეს გაუვიდა ხანდაზმულობის ვადა და რამდენი გადამხდელს ჩამოაწერა საგადასახადო ვალდებულება? ჯამში, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 9 392 გადამხდელს, 938 817 000 ლარის დავალიანება, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით, 581 გადამხდელს, 4 388 000 ლარის დავალიანება ჩამოაწერეს. 2014 წლის 12 დეკემბერს, ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ამოქმედდა. ამ საკანონმდებლო რეგულაციით, ორივე ქვეპუნქტის საშუალებით, 10 000-ზე მეტი პირს, ფინანსთა მინისტრმა 1 მილიარდ ლარზე მეტი საგადასახადო ვალდებულება ჩამოაწერა.

რამდენად ლოგიკურია ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილება საგადასახადო დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს პენსიონერებისთვის პენსიის მომატებაც კი უჭირს? რა ეკონომიკური ეფექტი აქვს სახელმწიფოს წინაშე არსებული დავალიანების ჩამოწერას, თუ ამ ტიპის ამნისტიით მხოლოდ მსხვილი ბიზნესმენები ისარგებლებენ? გამოდის, მსხვილი ბიზნესის ფინანსური შემოწირულობა „ქართულ ოცნებას“ ისე სჭირდება, რომ 2016 წლის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, საგადასახადო ამნისტია ლანგრიტ მიართვა?

ეკონომიკის ექსპერტმა, **მია ხუხუაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თუ კანონის წინაშე ყველა მენარმე-სუბიექტის თანაბრობის პრინციპი დაირღვევა და მხოლოდ პროტექციონიზმით გადაწყდება, ვინ ისარგებლებს ამ შედეგით, ცხადია, ფინანსთა მინისტრის ეს გადაწყვეტილება არაა ეფექტური იქნება. მისი თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, ვის ეხება საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა — მსხვილ, საშუალო თუ მცირე ბიზნესს, თუ მენარმე ამ კანონის არეალში მოხდება, სახელმწიფომ დავალიანება უნდა

რატომ ჩამოაწერა ფინანსთა მინისტრმა 10 000 მენარმეს 1 მილიარდი ლარის დავალიანება



ჩამოაწეროს.

— **ბატონო ვია, სახელმწიფო პენსიასაც კი ვერ უზრდის პენსიონერებს და ფინანსთა მინისტრის ეს გადაწყვეტილება ლოგიკურია?**

— ვფიქრობ, ხშირ შემთხვევაში, ასეთ გადაწყვეტილებებს ობიექტური მიზეზები განაპირობებს და არა ის, რამდენად კარგია ან ცუდია მისი მიღება. ხშირად, როდესაც ამ ტიპის დავალიანება უპირსუბიექტო და უიმედოა, ხელისუფლებას კი ამ თანხის ამოღების შანსი არ აქვს. შესაძლოა, სახელმწიფომ იძულების წესით მაინც ამოიღოს დავალიანება კომპანიებიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ბიზნესის დახურვა მოჰყვება, რაც ეკონომიკას დაასუსტებს. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ბიზნესის განვითარების მიზნით, ასეთ სტიმულირებას სწორ ნაბიჯად ვთვლი. მთავარია, რომ ამ შემთხვევაში, სამართლიანობის პრინციპი დავიცვათ და კომპანიები სუბიექტური ფაქტორებით არ შევარჩიოთ, ანუ ამ შედეგით, ბაზარზე მოქმედმა ყველა სუბიექტმა თანაბრად უნდა ისარგებლოს და აგისნით, რატომ. ერთს რომ აპატიებ და მეორეს არა, გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა უსამართლოა, კომპანიებს შორის, ეკონომიკურ ტენიანობასაც დაასუსტებს. ერთ ფაქტს გაგახსენებთ, რომელიც სატელევიზიო ბაზარს ეხება, ხელისუფლება რამდენიმე ტელევიზიის მუდმივად ჩამოაწერა ხოლმე დავალიანებას, მაგრამ ისეთი ტელევიზიებიც არსებობდნენ, რომლებზეც ამ შედეგით არ ავრცელებდნენ, რაც სატელევიზიო ბაზარზე, არაჯანსაღ სიტუაციას ქმნიდა და ასეა ამ შემთხვევაშიც. დაკონკრეტება გამიჭირდება, რასთან გვაქვს საქმე, რადგან კომპანიების ჩამონათვალს არ ვიცნობ, თუმცა პრინციპი, რომ როდესაც სახელმწიფოს აქვს ალტერნატივა — ბიზნესი გააკოტროს თუ პირიქით, დავალიანება ჩამოაწეროს და მის განვითარებას ხელი შეუწყოს, სწორი და მისასალმებელია. მეტსაც გეტყვი, კომპანიები დავალიანება ძალით რომ ამოიღოთ, სოციალური თვალსაზრისით, ისეთ დიდ ზიანს არ მოგიტანთ, რამდენსაც ის ეკონომიკური ვარდნა, რაც კომპანიების გაკოტრებას მოჰყვება.

— **დავიკონკრეტებთ, რომ კომპანიებს დავალიანებები საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ჩამოაწერეს. ერთი შეხედვით, სამართლიანობის პრინციპი არ უნდა დაირღვეს, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები — მსხვილ ბიზნესს, „გ“ ქვეპუნქტს კი — მცირე და საშუალოს ეხება, რადგან საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესის მსხვილმა ბიზნესმა კარგად იცის. თუმცა თუ მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესს თანაბრად აპატიებს, სახელმწიფო ამით რა ხეირს მიიღებს?**

— როდესაც სახელმწიფო ამა თუ იმ კომპანიას ვალს პატიობს, ამით მას განვითარების საშუალებას უტოვებს ნაცვლად იმისა, ფუნქციონირება შეუწყვიტოს, რადგან ვალის გადახდის შემთხვევაში, ბევრი კომპანია კოტრდებოდა. ამ შემთხვევაში, სოციალური პრობლემაც ჩნდება და ეკონომიკურიც, სოციალური პრობლემა ის არის, რომ ბიზნესის დახურვის შემთხვევაში, გარკვეული ადამიანები უმუშევრად რჩებიან. რაც შეეხება ეკონომიკურ პრობლემას, თუ კომპანიას ვალს აპატიებ და განვითარების საშუალებას მისცემ,

გარკვეული დროის შემდეგ, მისი საქმიანობიდან მიღებული გადასახადებით, შესაძლოა, ეს ფული მაინც მიიღოს. ერთ შემთხვევაში, კომპანია იხურება და მისგან ვერაფერს იღებ, მაგრამ თუ კომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას, ბუნებრივია, მიმდინარე გადასახადებს იხდის და თანხა, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში შევა, გარკვეულ პერიოდში, იმ ვალსაც გადააფარავს, რაც ამ კომპანიას ჰქონდა. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის ამნისტიამ ეკონომიკური ლოგიკა არის, მაგრამ მთავარია, ეს ყველაფერი სწორ მომენტში და სწორად გაკეთდეს. სახელმწიფომ მენარმეებს მუდმივად არ უნდა გაუჩინოს განცდა, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ, ამნისტია კვლავ გამოცხადდება და ამიტომ დღეს გადასახადებს არ გადაიხდის. ეს ძალიან ფაქიზი თემაა და ერთი მხრივ, ამ ინსტრუმენტის ხშირად გამოყენება არ შეიძლება, მეორე მხრივ კი გამოიჩინოს არ არის, გამოუყენებლობამ სახელმწიფოს ისეთი ზიანი მიაყენოს, რომლის კომპენსირებაც დავალიანების იძულების წესით ამოღებით ვერ შეძლოს. ხშირ შემთხვევაში, დავალიანების მქონე ბევრი კომპანიის აქტივები, მათი დავალიანებების ადეკვატური არ არის. იძულების წესით დავალიანების ამოღება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია, მენარმეს ქონება ჩამოართვას და გაუყიდოს, მაგრამ შესაძლოა, ამ ქონების ღირებულება ბევრად ნაკლები იყოს, ვიდრე დავალიანება. ამდენად, ფინანსთა მინისტრის ეს გადაწყვეტილება დროულია, მთავარია, სწორად შესრულდეს, რათა თანმდევი რისკები თავიდან ავიცილოთ.

— **როგორ უნდა დააზღვიოს ეს რისკი სახელმწიფომ, რომ ხვალ ან ზევ ისევ არ დააგროვონ დავალიანება კომპანიებმა და იმედოვნებენ, რომ პირობითად, ერთ კვირაში, ისევ აპატიებენ?**

— ასეთი რისკის დაზღვევის ერთადერთი გზა ისაა, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ერთჯერადი ხასიათი მივაძღვიოთ. შესაბამისად, სახელმწიფომ ეს ნაბიჯი კარგად უნდა გაითვალისწინოს და მხოლოდ ერთჯერადად გამოიყენოს. თეორიულად, ვერასდროს გამოივრცხავთ, ასეთი ამნისტიის საჭიროება ოდესმე კიდევ გაჩნდეს, მაგრამ უმჯობესია, მას ერთჯერადი ხასიათი მივაძღვიოთ.

— **როდესაც პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყავით, ბევრ ბიზნესმენს ხედებოდათ. მართალია, ამ შემხედვის მიზანი იმ კორუფციული სქემების გაშლევრა იყო, რაც წინა ხელისუფლების პირობებში არსებობდა, მაგრამ საგადასახადო დავალიანებაზე თუ საუბრობდით მათთან?**

— საგადასახადო დავალიანებაზე განსაკუთრებით არ გვისაუბრია, მაგრამ ყოველთვის ვაფიქსირებდი, რომ უმჯობესი იქნება, სახელმწიფომ თანხა ბიზნესიდან კი არ ამოიღოს, ეკონომიკაში ჩატოვოს და კომპანიებს ამ თანხის რეინვესტირების საშუალება დაუტოვოს. სხვათა შორის, ამ საკითხზე ფინანსთა მინისტრთანაც ხშირად მისაუბრია. სახელმწიფოს ამ პერიოდში, დიდი ოდენობით უნდა დაებრუნებინა კომპანიებისთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) ექსპორტიორი კომპანიებისთვის. ხშირად ვმსჯელობდით, სწორად დაებრუნებინა ეს ფული სახელმწიფოს ბიზნესისთვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამას საბიუჯეტო დამაბუჯების გამოწვევა შეეძლო, მიზანშეწონილად მიმაჩნდა, სახელმწიფოს მეტი თანხა დაეტოვებინა ბიზნესში, რათა ფული ბრუნვაში ყოფილიყო, საშუალო ადგილები და ეკონომიკური კეთილდღეობა შექმნილიყო. ყოველთვის არ არის კარგი, როდესაც ქვეყანას დიდი ბიუჯეტი აქვს, რადგან დიდი ბიუჯეტი ჯანსაღ ეკონომიკას არ ნიშნავს. თუ ბიუჯეტში იმაზე მეტი ფული გაქვს, ვიდრე ქვეყნის ეკონომიკური რესურსია, ამით ქვეყანას კი არ ავითარებ, პირიქით — აკნინებ. შესაბამისად, დიდი ბიუჯეტით სიამაყე, რასაც ნაციონალური მოძრაობა აკეთებდა, სწორი არ იყო, რადგან ეკონომიკაში საბრუნავ კაპიტალს არ ტოვებდა, რის გამოც ქვეყანა დაღმასვლით მიდიოდა. თვითონ კონცეფცია, რომ სადაც საშუალება გაქვს, იქ მეტი საბრუნავი თანხა დატოვო, სტრატეგიულად სწორი პოლიტიკაა.

— **ნაციონალურმა განსხვავებით, ოცნება დიდი ბიუჯეტით არ ტრაბახობს, მაგრამ ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი, ძირითადად, საგადასახადო შემოსავლების ნაწილში სრულდება და არა ხარჯვით ნაწილში.**

— მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ბევრად ჰუმანურია და პოლიტიკური მიზნებისთვის ამ ინსტრუმენტებს არ იყენებს, ბიუჯეტთან დაკავშირებით, ეს ნაკლი ნამდვილად აქვს. ზოგიერთ ფინანსთა მინისტრს მოსწონს, როდესაც სამინისტროს ანგარიშზე დიდი ოდენობით თანხა და თავს მშვიდად გრძობს. სინამდვილეში, ეს ძალიან ცუდია, რადგან ფინანსთა მინისტრი, რომელსაც ანგარიშზე უძრავად აქვს ფული, კარგი მინისტრი არ არის. ფული მუდმივად ბრუნვაში უნდა იყოს, ამიტომ მიდგომა, რომ თუ ფული გაჩნდა, ის მაშინვე ეკონომიკაში უნდა ჩააბრუნოს, სწორია. დავალიანების შემთხვევაში, ბიზნესმენი არ დაახრწო, რადგან ამით ვერაფერს მოიგებ — უმუშევართა რიცხვი გაიზრდება და ბიზნესი მოკვდება.

პერსონალი

ეკონომიკის მინისტრის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს „სოკარი“ გადაიხდის



საქართველოს საპატრიარქოს ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურს კომპანია „სოკარი“ გადაიხდის. „ნავთობკომპანია „სოკარს“ და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, „სოკარმა“ კეთილი ნებით აიღო ვალდებულება, უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება. აღნიშნულ ხელშეკრულებას ვადა ეწერებოდა ამა წლის 1 ნოემბრისთვის, თუმცა, კომპანიის გადაწყვეტილებით, დრო გაგრძელდა კიდევ ორი თვით, ანუ 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. საქართველოს საპატრიარქო გულითად მადლობას უხდის „სოკარის“ პრეზიდენტს, ბატონ როვნავ აბდულაევს და „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს, ბატონ მაჰირ მაქედოვს ამ დიდი თანადგომისთვის“.

bpn.ge

საქართველოს მოქალაქეები ბრაზილიაში ოლიმპიადაზე უპრობლემოდ გაემგზავრებიან

მასა ლომაძე
555-27-95-13

საქართველომ, რამდენიმე თვის წინ, სამხრეთ ამერიკის სამ ქვეყანასთან გააფორმა უვიზო მიმოსვლა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი, ლანსი ჟონსონი „ვერსიას“ ექსკლუზიურად ესაუბრა იმაზე, რა სარგებელს მიიღებენ ამით ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები და რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მსგავსი ხელშეკრულება იმ სივრცესთან, რომელთანაც არც ისე მჭიდრო ურთიერთობები გვაქვს.

რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმი და რას ურჩევს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი ქართველ ბიზნესმენებს



რა უვიზო რეჟიმის, ბიუროკრატის არარსებობის პირობებში, ბევრად მარტივია ანალოგიური არგუმენტით სარგებლობდნენ ათწლეულების წინ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესგუნდები, როდესაც ევროპაში უვიზო რეჟიმის შემოღებას ლობირებდნენ. ზოგადად, თავისუფალი მიმოსვლა ხალხებსაც დაახლოებს. მაგალითად, არგენტინის ერთ-ერთ ნამყვან, ლა-პლატას უნივერსიტეტში გაიხსნა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა.

ისტორიული კავშირები დიდი ხანია, არსებობს, რადგან არგენტინა ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1918 წელს. აქტიურად ვითარდება თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნების საგანმანათლებლო სასწავლებლებთან – როგორც დიპლომატიურ აკადემიებთან, ისე უნივერსიტეტებთან. გაისად ბრაზილიაში ოლიმპიადის და მსურველებს უპრობლემოდ შეეძლება გამგზავრება. ასე რომ, არგენტინისა და ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებების ქართველი „ფანებიც“ მოვიმადლიერეთ. რეგიონში საელჩოები სულ რამდენიმე წელია გვაქვს და ბევრ კარგ საქმეს უკვე ჩაეყარა საფუძველი. თანამშრომლობას, მომავალში, უფრო გავაღრმავებთ.

— ანუ, შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ ქვეყნებთან ურთიერთობაში მთავარი შედეგი უკვე დადგა?
— ამ ეტაპისთვის მთავარი მიზანი მიღწეულია: საქართველოს ცნობადობა მაღალია. რამდენიმე წლის წინ კი თითქმის არავის სმენოდა საქართველოზე. რაც მთავარია, საქართველოს აქვს პოზიტიური — წარმატებული ქვეყნის იმიჯი.

მნიშვნელოვანია კულტურული გაცვლის კომპონენტიც. ბრაზილიაში, მექსიკაში და არგენტინაში რამდენჯერმე ჩატარდა ქართული ფილმების რეტროსპექტივა, ფოტოგამოფენები, რეგიონში წარმატებით აღინიშნა საქართველოს კულტურის დღეებიც. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საპატიო კონსულებიც. მაგალითად, გვატემალაში, საპატიო კონსულმა დააარსა ქართულ-გვატემალური ინსტიტუტი, რომელიც საჯარო მოხელეებს ჩვენი რეგიონის და საქართველოს შესახებ ინფორმაციას აწვდის. აქტიური საპატიო კონსული გვაქვს პანამაში და პერუში — ამ უკანასკნელმა, საქველმოქმედო ღონისძიებაც კი მოაწყო თბილისის წყალდიდობით დაზარალებულთა მხარდასაჭერად. დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის ქვეყნების დაინტერესებას საქართველოს რეგიონებით. რამდენიმე კვირის წინ, კოლუმბიის პრეზიდენტის უშუალო დავალებით, თბილისში ჩამოვიდა უწყებათაშორისი დელეგაცია, რომელმაც შეისწავლა, როგორ ხდება ჩვენთან საჯარო სექტორის ადმინისტრირება. მაგალითად, როგორ მუშაობს იუსტიციის სახლები, საბაჟო სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო... ინფორმაცია მალე ვრცელდება და ბევრ ქვეყანაში იცინან, რომ ეფექტური ელექტრონული მმართველობა გვაქვს. ამით დაინტერესდა იამაიკა, გაიანა და სურინამიც.

— ჩატარდება თუ არა კულტურის დღეები უფრო ინტენსიურად?
— კარგია, რომ ამ საკითხს შევხვით. საქართველოს უძველესი და ძალიან მდიდარი კულტურა ქვეყნის ცნობადობის და პოზიტიური იმიჯის გასაძლიერებლად შესანიშნავი საშუალებაა. ამ კუთხით თანამშრომლობა მომავალში უფრო გააქტიურდება. ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, ვმუშაობთ, მაგალითად, კოლუმბიის ოქროს მუზეუმთან, რათა მათი ექსპონატები საქართველოში ჩამოვიტანოთ და საქართველოს ოქროს ფონდი კოლუმბიაში გამოვიფინოთ...

— ქართველ ბიზნესმენებთან გაქვთ კონსულტაციები? რის ექსპორტს ურჩევთ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში?
— საინტერესო იქნებოდა ჩვენი ლიმონათის ექსპორტი — სამხრეთ ამერიკელებისთვის, მაგალითად, ტარხუნის ლიმონათი, ეგ ზოტიკას წარმოადგენს. ძალიან მოსწონთ. რიგი ქვეყნები დაინტერესდებიან არაჩვეულებრივ საქონელი ჩვენი საელჩოების ძალისხმევით გავაჭერით არხი, რათა ქართულმა ბიზნესსექტორმა უფრო აქტიურად ითანამშრომლოს ლათინურ ამერიკის ბიზნესსწრებთან. აქტიურად ვთანამშრომლობთ საგარეო პალატასთანაც და მუდამ ვანვით ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. კონტაქტების დამყარებასა და ინფორმაციის მიღებაში, ბიზნესმენებს ყოველთვის საამოვნებით დავეხმარებით ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და საგარეო პალატის ჩართულობით.

— ბატონო დავით, კონკრეტულად რომელ ქვეყნებთან გაფორმა უვიზო რეჟიმი?

— ყოფილი მინისტრის, თამარ ბერუაშვილის რეგიონული ვიზიტის ფარგლებში, 22-26 ივნისს, ხელი მოეწერა უვიზო რეჟიმს არგენტინასთან, ურუგვაისა და ჩილესთან. არგენტინას ძლიერი ეკონომიკა აქვს და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ამ სფეროში გარკვეული სირთულეებიცაა, სწრაფი განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. ჩილე ყოველთვის გამოირჩეოდა ეკონომიკური სტაბილურობით, ბოლო წლებში განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება და სანტიაგოს ცენტრში იმდენი მსხვილი კომპანიის ოფისი იყრის თავს, მანჰეტენის ალგორითი „სანჰეტენსაც“ უნოდებენ. ამ ორ ქვეყანასთან გამოცდილება შეიძლება გაიცვალოს ღვინის წარმოებაში. განსაკუთრებით ჩილესთან, რომელსაც, როგორც მწარმოებელს, ამერიკის ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. ურუგვაი კი ჩვენთვის საინტერესოა, რადგან მისი და ჩვენი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ერთნაირია და იქაც, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგია განვითარებული. მანამდე, უვიზო მიმოსვლას ხელი მოეწერა ბრაზილიასთან — რეგიონში ყველაზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანასთან, რომელიც ბოლო წლებში გლობალურ ძალად ჩამოყალიბდა.

ხელშეკრულებების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს, შეუძლიათ, ამ ქვეყნებში 90 დღის განმავლობაში იყვნენ. ეს ეხება როგორც დიპლომატიური და სამსახურებრივი, ასევე ორდინალური პასპორტის მქონე მოქალაქეებს. ანალოგიური რეჟიმი სარგებლობენ ამ ქვეყნების მოქალაქეები საქართველოში ყოფნისას.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, ბევრი მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფოს ყოლა. ადრე არ გავაჩნდა რესურსი, ყველა მნიშვნელოვან რეგიონში, მათ შორის ლათინურ ამერიკაში გვეყოლოდა წარმომადგენლობები. დღეს უკვე საელჩოები გვაქვს ბრაზილიაში, მექსიკაში, არგენტინაში, მალე გაიხსნება კუბაზეც. ამ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობები უფრო მჭიდრო ხდება. საქართველო რეგიონში ცნობილია, როგორც სანდო და საიმედო პარტნიორი. ახლახან, გაერო-ს გენერალური ასამბლეის ფარგლებში პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრს წარმატებული შეხვედრები ჰქონდათ ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებთან. კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ უამრავი საერთო ინტერესი გვაქვს და მზად ვართ, თანამშრომლობა უფრო გაღრმავდეს.

ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორები აშშ, ნატო და ევროკავშირია. მათთან თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფონზე. ასევე მნიშვნელოვანია ახალი რეგიონების ათვისება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, კარგი გეო-პოლიტიკური და გეო-ეკონომიკური მდებარეობა გვაქვს. ესარგებლობთ თავისუფალი საგარეო რეჟიმებით მეზობელ ქვეყნებთან, ამას გარდა, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული ევროკავშირთან. ეს ნიშნავს, რომ პოტენციური ინვესტორი საქართველოს განიხილავს, როგორც ამ ერთიანი, დიდი სივრცის საკვანძო ნაწილს, ჰაბს. ამას ემატება განვითარებული ლოჯისტიკა, ინფრასტრუქტურა, ბიუროკრატული პროცესების სიმარტივე, რაც საქართველოს მიმზიდველ ადგილად აქცევს.

— სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებიდან, ბრაზილიის საელჩო საქართველოში წარმოდგენილი არ არის. რამდენად დააჩქარებს საელჩოების გახსნას უვიზო რეჟიმი?

— ეს დამოკიდებულია მათ რესურსებზე. თუმცა, არარეზიდენტ ელჩებთანაც შესანიშნავი თანამშრომლობა გვაქვს და ისინი ხშირად ჩამოდიან საქართველოში. აღნიშნულ ქვეყნებთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ როგორც ორმხრივ, ისე სხვადასხვა მრავალმხრივ ფორმატში. საქართველოში მათი საელჩოების გახსნის საკითხი მუდმივად დგას დღის წესრიგში და ამ საკითხს, ზოგადად, საქართველოს ცნობადობის ამაღლება დააჩქარებს.

— უვიზო რეჟიმი რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს ჩვენს მოქალაქეებს?

— საქართველოში ვიზიტად უკვე ჩამოდიან რეგიონიდან ბიზნესგუნდები,

მესმის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ არ აქვს საშუალება, ესტუმროს ტურისტული თვალსაზრისით ამ მიმზიდველ ქვეყნებს. უვიზო რეჟიმის პრივილეგიის სრული გამოყენება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: ავიაკომპანიების გადანაცვლება ფრენების დანიშვნის თაობაზე, ბილეთის საფასური... იმედია, სამხრეთ ამერიკაში წასვლა ფინანსურადაც ისე ხელმისაწვდომი გახდება, როგორც ეს ვიზის თვალსაზრისით მოვახერხეთ. გასათვალისწინებელია დროის ფაქტორიც — ჩაფრენამდე, ზოგჯერ 32 საათიც კია საჭირო, ჩარტერული რეისების გამო.

პერსონალი

ოკუპირებული სხინვალის ბარიკადებზე კიდე ერთი საკონტროლო-გამშვები პუნქტი გაიხსნება



ვადასხვა მხარეს ცხოვრობენ. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და ჩვენი მოვალეობაა, ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობაზე“. სხდომის მონაწილეებმა სასაზღვრო ზონის რეორგანიზაციის საკითხი განიხილეს, რაც ამ ზონიდან დასახლებული პუნქტების გამოსყვანასა და ზოგიერთ მონაკვეთზე სასაზღვრო ზონის სიმორის შემცირებას გულისხმობს. ოკუპირებული რეგიონის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელმა ვალერი ზოზულაძემ აღნიშნა, რომ ეს გადანაცვლება საზღვრისპირა ტერიტორიების უსაფრთხოებას გაზრდის.

ოკუპირებული რეგიონის ე.წ. მინისტრთა კაბინეტმა, უშიშროების კომიტეტის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცხინვალის რაიონის სოფელ ხელჩუაში დამატებით ახალი საკონტროლო-გამშვები პუნქტი გაიხსნას. ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში 3 საკონტროლო-გამშვები პუნქტი ფუნქციონირებს, აქედან 2 ზნაურის, ხოლო 1 ახალგორის რაიონში. სოფელი ხელჩუა, სადაც მეოთხე გამშვები პუნქტი გაიხსნება, ქართულ სოფელ ზარდიაანთკართან მდებარეობს, სადაც რამდენიმე ოსური ოჯახიც ცხოვრობს. ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, საზღვრის გადაკვეთის უსაფრთხოების საკითხებში არ უნდა დაივიწყონ ნათესაური კავშირები იმ ადამიანებს შორის, ვინც ე.წ. საზღვრის სხვადასხვა მხარეს ცხოვრობენ: „უკიდურესად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ იმ ადამიანების ნათესაური კავშირები, ვინც საზღვრის სხვადასხვა მხარეს ცხოვრობენ. ისინი ჩვენი მოქალაქეები არიან და ჩვენი მოვალეობაა, ვიზრუნოთ მათ კეთილდღეობაზე“.

ციხეში დრო ძალიან იწვლება, მით უმეტეს, თუ რამდენიმე წელი გაქვს მისჯილი და სამაგიეროდ, არ გაქვს არანაირი პერსპექტივა. ანუ, იცი, არ შეგიწყალებენ, ვადაზე ადრე არ გაგიშვებენ და ეს წლები შენი მოსახდელია. ყოველდღიური ერთფეროვნება გაგიჟებს და ფსიქოლოგიურად განგრევეს. განსაკუთრებით გაუსაძლისია ზამთარი, როცა ზონა დილის ათ საათზე იღება და ექვსის ნახევარზე იკეტება. ზაფხულში ეს ვადა საღამოს რვა საათამდე და არ არის ცოტა... აი, ზამთრის გრძელი ღამეები კი, არა და არ სრულდება, ამიტომ პატიმრები მაქსიმალურად ცდილობენ, რამე ისეთი მოიფიქრონ, რაც ასე თუ ისე გაართობს, ყოველდღიურ ყოფას დაავიწყებს და დროსაც, ერთი შეხედვით, შეუმჩნევლად გააყვანინებს. ამ შემთხვევაში იდეალური ვარიანტი საეკლესიო ნივთების კეთება, ანუ ხეზე კვეთაა. თუ ეს შეგიძლია, თუ კარგად გამოგდის, სამუშაო არ გაკლია და დღე მართლაც შეუმჩნევლად გადის. ხის მასალა გარედან საპატრიარქოს წარმომადგენლებს შემოაქვთ და პატიმრებიც სიამოვნებით მუშაობენ... მით უმეტეს, ეს სამუშაო უფასო არ არის — სასულიერო პირები იმ პატიმრების საბანკო ბარათზე, რომლებიც მუშაობენ, თანხას რიცხავენ და არ გეგონოთ, კაპიკებზეა საუბარი. პირიქით, ხშირად ეს თანხა საკმაოდ სოლიდურია.

ხეზე რუსთავის №17 დაწესებულებაშიც მუშაობდნენ, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს — ისე ვერ აკეთებდნენ, როგორც საჭირო იყო, ამიტომ მათთან რაიმე გრანდიოზული არ მოჰქონდათ და ბიჭები პატარა-პატარა საქმეებს ასრულებდნენ. ერთ დღეს ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა. მათგან დაბალი, ჯმუხი პატრიარქი გამოირჩეოდა, წვერი მკერდამდე სცემდა და რაღაცნაირად, გაჭიმული მოდიოდა, თითქოს სურდა, თავის სიდაბლის კომპენსირება მოეხდინა.

„უკაცრავად, თქვენ მლოცველი ხომ არ ხართ? მაშინ მლოცველების კამერაში უნდა შევიდეთ“, — ჰკითხა მლოცველების საკნის წინამძღოლმა დათომ და მაშინვე იხანა.

„მლოცველების არა, მთხოვნელების. მაყურებელი სად არის, ეგ მითხარი შენ და კამერას მე თვითონ მოვხაზავ“, — შეუღრინა დათოს ახლადმოსულმა და იმანაც ჩაილაპარაკა, მაყურებლები მეორე კამერაში სხედნო. პატრიარქი №0578 ამ ყველაფერს ჩუმად უყურებდა და როგორც კი ახლადმოსული მაყურებლების კამერისკენ წავიდა, უკან გაჰყვა. ნომერმეორე საკანში ბევრი ხალხი იყო. ახლადმოსული პატიმრები მაყურებლებს იცნობდნენ და ისინიც კამერების მიხედვით ანანილებდნენ. იქვე ოფიცერი იდგა და თუ მაყურებლების რომელიმე გადანყვევებულს არ ეთანხმებოდა, თავს აქნევდა, ზემოთ ამას არ მოინონებენო. ახლადმოსულმა სხვა პატიმრები უხეშად მისწინა-მოსწია, მაყურებლებს წინ გამოეჭიმა და ხმამაღლა თქვა: „კოკა ვარ, მე და კრიტიკა მოვდივარ. ასათიანთან ვცხოვრობდი კამერაში და დანარჩენი თქვენ იცით“.

მაყურებლები მაშინვე დაფაცურდნენ, №0578-ს მოეჩვენა, რომ ერთგვარი რიდი და მოწინებები შეხედეს კოკას და მესამე კამერაში გაუშვეს. მესამე საკანი მაყურებლების გვერდით იყო და პრესტიჟულად ითვლებოდა. პატრიარქი №0578 თავის კამერაში დაბრუნდა და საღამოს მაყურებლებს ჩააკითხა.

საბუნარი პატიმრის ქველმოქმედება

როგორ ახანილებდნენ მაყურებლები ბონაზე სასუდიერო პირებისგან შესუდ ფუდს



„ან ასათიანი ვინ არის კრიტიკი, ან ეს კაცი, ასეთი პატივი რომ დასდეთ?!“ — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჰკითხა მაყურებლებს.

„ასათიანი ჩვენი ძმია, კრიტიკ უყურებს. ეს კიდევ რვა წელია იქ ჰყავთ, მკვლევარებზე ზის. ქურდულის მტრები დახოცა, ერთი ზონაზეც მოკლა და კაი ტიპია, რა“, — უთხრეს მაყურებლებმა.

„ნეტავ ის გამაგებინა, ქურდულის მტრებს როგორ ცნობთ და მერე თუ გინდა, მეც მომკალით“, — თავის ქნევით თქვა №0578-მა და კამერიდან გავიდა.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირაში ზონაზე მღვდლები შემოვიდნენ. კაკლის ხისგან დამზადებული ორი დიდი ჩარჩო მოიტანეს, მთავარანგელოზების ხატები გვინდო. მლოცველთა კამერის წინამძღოლმა დათომ თავი გააქნია, არ გამოვა ეგ საქმე, კაკალი რთული სამუშაოა და არავინ მყავს, ვინც ამას მოახერხებს, ვისაც შეუძლია კიდევ, ის ხელს არ მოჰკიდებსო. მღვდელმა მაშინვე იკითხა, ვის შეუძლიაო და...

„არის ერთი პატრიარქი, კოკა ჰქვია, მაგრამ არ მოკიდებს ხელს. აღარ აინტერესებს ასეთი რამეები“, — ჩუმად თქვა დათომ, მაგრამ მღვდელი არ დანებდა და აქ მოიყვანეთ კოკაო. პატრიარქი №0578 პირადად წავიდა კოკას დასაძახებლად. იმას ჯერ გაუკვირდა, მამაოს ჩემგან რა უნდაო, მერე მაინც გაჰყვა. მართალია, №0578-თან ხშირი კონტაქტი არ ჰქონდა, მაგრამ იცოდა, რომ მაყურებლების მეგობარი იყო და არ მოატყუებდა.

„მომისმინე, შვილო — ეს ხატები მონასტრისთვის გვირდა. ვინც წირავს, შვიდი ათას ლარს იხდის ამ ყველაფერში. თუ გააკეთებ, მაგ შვიდი ათას ლარს ან შენს ახლობლებს მივცემთ გარეთ, ან შენ დაგირიცხავთ ნელ-ნელა ბანკის ბარათზე“, — უთხრა მღვდელმა.

„ფული არც ისე მაკლია, ეს ერთი. ხეზე კვეთა ვიცი, მაგრამ შევეშვი და არანაირი სურვილი არ მაქვს, ისე დავიწყო, ეს მეორე და მესამე — სავაობაზე იმდენი სპეციალისტია, აქ რატომ მოგაქვთ, ვერ ვხვდები“, — თავხედურად თქვა კოკამ.

„აქ იმიტომ, რომ ვინც შემოგვნირა, იმან თქვა, მეც ყოფილი პატრიარქი ვარ და პატიმრებმა გააკეთონო. ფული შეიძლება არ გაკლია, მაგრამ შვიდი ათასი არ არის ცოტა და თუ გეცოტავება, ეკლესიას შესწირე“, — გაბრაზდა მღვდელი.

ვერსიანიუსი

შსს-ს სპორტულ კლუბ MIA FORCE-ს გამარჯვებული სპორტსმენი სამოქალაქო დაზარადა



ჩემპიონატის ფარგლებში, კლუბ MIA FORCE-ის პარტნიორი ცნობილი გერმანული გუნდი Engstler Motorsport-ია, რომელმაც ქართველი სპორტსმენის სათანადო მომსახურება უზრუნველყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპორტულ კლუბ MIA FORCE-ს მრბოლელი დათა ქაჯაია ევროპის ჩემპიონი გახდა. გამარჯვებულ ავტომობილს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შსს-ს წარმომადგენლები, სპორტსმენები და გულშემატიკრები დახვდნენ.

დათა ქაჯაიამ პროფესიონალურ TC2T კლასში, ძარიან ავტომობილებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ქართული ავტოსპორტის ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც ძარიან ავტომობილებში ევროპის ჩემპიონატში (ETCC) ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ევროპის ჩემპიონატი 6 ეტაპად ჩატარდა. ტურნირს უნგრეთის, სლოვაკეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ბელგიისა და იტალიის ავტოდრომებმა უმასპინძლეს.

დათა ქაჯაიამ პროფესიონალურ TC2T კლასში შეჯიბრის ხუთი ეტაპი წარმატებით გაიარა. ჩემპიონატის ფინალურ, ენა პერგუზას (იტალია, სიცილია) ეტაპზე ქართველმა სპორტსმენმა წარმატებით დაიწყო და 49 წამში დაფარა და ძარიან ავტომობილებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ ნარკოდაზარაულისთვის ერთი პირი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1975 წელს დაბადებული ბენიამინ ა. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი სასტუმროს ნომრიდან, სადაც ბრალდებული დროებით ცხოვრობდა, 1,3492 გრ ჰეროინი და 0,0507 გრ ნარკოტიკული საშუალება ამფეტამინი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“



კოკა უხმოდ გავიდა კამერიდან და მღვდელიც წამოდგა, ჩარჩოებს ხელი წამოავლო და ნასასვლელად გაემზადა, თუმცა №0578-მა შეაჩერა, მე დაველაპარაკები, ეგებ გადავავიქრებინოო. №0578-ს კოკასთან სასაუბროდ დათოც გაჰყვა და გაუკვირდა, როცა მესამე კამერის ნაცვლად, №0578 მეორეში, მაყურებლებთან შევიდა.

„მოკლედ, ასეთი ამბავია — ხეზე ორი ხატია ამოსაკვეთი, შვიდი ათას ლარს იხდის და თავებზე მღვდელია. კოკას გარდა ამის გაკეთება არავის შეუძლია, ის კი უარზეა. არადა, რომ გააკეთოს, ხომ ხვდებით, შვიდი ათას ლარად რამხელა გრევის გაკეთება შეიძლება „ბალნიჩკაზე“, ამოისუნთქავენ ბიჭები, ზოგს ტუბის ნამალი არ აქვს და ზოგს კიდევ ჰეპატიტის. ამხელა თანხა „ბალნიჩკისთვის“ ქურდების შემდეგ არავის გაუღია და ისტორიაში დარჩებო“, — უთხრა მაყურებლებს.

იმათაც ერთმანეთს გადახედეს და კოკას მოყვანა ბრძანეს. კოკა მაშინვე მოვიდა და როცა კამერაში №0578 და დათო დაინახა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა. სანამ მაყურებლები რამეს ეტყოდნენ, თავად დაიწყო: „შანსი არაა, ხელს არ მოვკიდებ. ფულით უნდოდათ გაკერვა, მაგრამ ხომ იცით, არის გარეთ ხალხი, ვინც თანხას მირიცხავს და არ მინდა, რა...“

„მოიცა, შენ არ გინდა, საქმეს უნდა. ეგ თანხა მთლიანად „ბალნიჩკაზე“ წავა. წამლებს ვიყიდით, თავფლს, კარაქს და იქ მივტანინებთ პირდაპირ. თან დრო გავა, მაგის კეთებას შენ 2-3 თვე მოუნდები და ხომ იცი, აქ დროის გაყვანა რას ნიშნავს“, — უთხრა მაყურებელმა.

„ბალნიჩკაზე?!“ ეს ამან მოიფიქრა ალბათ“, — თქვა კოკამ და №0578-ს გახედა. მერე თავი ჩაღუნა, დაახლოებით ნახევარ წუთს იფიქრა და მაყურებლებს თავის პირობა წაუყენა: „გავაკეთებ, ოღონდ იმ შვიდი ათასიდან სამი ათასი გარეთ, უპატრონო ბავშვთა სახლს გადაერიცხება, დანარჩენს „ნაპრაველია“ თქვენ მივცით, მე არ ჩავერევი“.

„კი ბატონო, უპატრონო ბავშვებსაც დავეხმაროთ და ავადმყოფებსაც“, — კმაყოფილებით თქვა მაყურებელმა და კოკამ ჩარჩოები თავის კამერაში ჩაიტანა.

ყველას აინტერესებდა, როგორ მუშაობდა კოკა და პატიმრები საათობით ჩუმად უყურებდნენ მის წვალუბას. წვალუბას იმიტომ, რომ კაკალი მართლა მძიმე სამუშაო იყო და კოკას სახეების გამოყვანა ძალიან უჭირდა. ოთხი თვის შემდეგ მუშაობას მორჩა და მართლა საოცარი ხატები გააკეთა.

„ოთხი თვე მოვუნდი?! ერთი დღესავით გაფრინდა. კიდევ გავაკეთებ, სანამ აქ ვარ ერთმანეთს, ოღონდ ფული ასე უნდა გატყდეს — ნახევარი ბავშვებს, ნახევარი „ბალნიჩკას“, — თქვა კოკამ და შეიძლება ითქვას, მთელი დარჩენილი ვადა ხატზე დამხობილმა გაატარა. არ კითხულობდა, რა და როგორ ღირდა, მუშაობდა და ამბობდა, ფული გაყავითო. რამდენი იყო გასაყოფი, არც ინტერესდებოდა. მერე მისი გასვლის დროც დადგა და წავიდა...“

„მონასტერში მინდა ასვლა, წავიდეთ ორ დღეში, არ დავრჩები, ისე, მამაოებს ვნახავ და ეგებ იქაური სიმშვიდე გამომეყვას“, — თავისუფლებაზე გამოსული №0578 მეგობარს ესაუბრებოდა და მეორე დღეს მონასტრის გრძელ გზას მანქანით შეუყვია. ავტომობილი ბოლომდე ვერ მივიდა და ოთხი კილომეტრი ფეხით იარეს ბიჭებმა. მონასტრის ბერები სტუმრებს ღიმილიანი სახით შეხვდნენ, სატრაპეზოდ ვემზადებოდითო, თქვენს და ბიჭების მიტანილი ნობათი შემატეს სუფრას. ანდრიასაც დაუძახეთო, წინამძღოლმა ბრძანა და ერთ-ერთი ბერი სულიერი ძმის დასაძახებლად წავიდა.

„დღე და ღამე ხეზე მუშაობს, ჭამა არც ახსოვს“, — ჩაილაპარაკა წინამძღოლმა.

სატრაპეზოში კოკა შემოვიდა, სუფრას თვალი მოავლო, №0578-ის დანახვაზე ოდნავ შეცბა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე მიუჯდა სუფრას და სხვებთან ერთად ჭამა. მერე წამოდგა და №0578-ს მიმართა: „სტუმარო, არ გაინტერესებს, რას ვაკეთებ?!“

პატიმარყოფილმა ღიმილით დაუქნია თავი და კელიაში გაჰყვა. იქ თამამად გადაეხვია კოკას, მერე მის ნამუშევრებს ჰკიდა თვალი, გაუხარდა და პირდაპირ ჰკითხა: „აქ როგორ? რანაირად?!“

„რომ გამოვედი, არავის აღარ ვჭირდებოდი, მგონი ოჯახის წევრებსაც კი. ჰოდა, მოპარვა დავიწყე. ერთ დღეს შევედი ბინაში და იქაურობა რომ მოვასუფთავებ, ხატების კუთხისკენ გამექცა თვალი. საგვარეულო დროშა ჰქონდათ აყუდებული და იქვე ხეზე ნაკვეთი საგვარეულო ხატი. ჩემი ნამუშევარი იყო. არ ვიცი რა დამემართა, ვერ აგისხნი. იქ დავტოვე ყველაფერი და ახლა აქ ვარ. შემთხვევით ალბათ არაფერი ხდება და ვნახოთ. ვერც იმის პირობას ვაძლევ ვერავის, სულ აქ ვიქნები-მეთქი და ვერც იმისას, არ ვიქნები-თქო. ჯერ ნასვლის სურვილი არსად მაქვს და ვნახოთ. აქ სიმშვიდეა, საოცარი სიმშვიდე“, — დაასრულა კოკამ.

„ჰო, ამ სიმშვიდისთვის ამოვედი მეც“, — უთხრა №0578-მა და თითქოს შემურდო, ისე მოავლო კოკას კელიას თვალი.

ახალი ვირუსი სისხლის გადასხმით პრესდება და ბავშვებში დაბლას იწვევს

მსოფლიო მეცნიერები ჩიხში აღმოჩნდნენ

თავარ ლომსაძე
599-20-94-01

ამერიკელი მეცნიერები ახალი დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. ორიოდ კვირაა, მათ აღმოაჩინეს ვირუსი, რომელიც სისხლის გადასხმით გადაეცემა! ინფორმაცია იმთავითვე განსჯის საგანი გახდა და ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ვირუსი ძალიან ჰგავს ჰეპატიტის. ის აზიანებს ღვიძლს და არცთუ უმნიშვნელო გართულებებს იწვევს. იმავდროულად, ვირუსი ძალიან ჰგავს pegivirus-ს, რომელიც ჰეპატიტისგან განსხვავებით, არ არის პათოგენური. ახალმა ვირუსმა უკვე მიიღო სახელწოდება „ადამიანის hepegivirus-1“ და ის პირველი ინფექცია გახლავთ, რომელიც სისხლის გადასხმასთანაა დაკავშირებული.



გასაგებია, რომ მეცნიერებს არ სურთ დროზე ადრე პანიკის ატეხვა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ აუქცევს გვერდს სამსუხარო რეალობას — ვირუსულ გართულებად კვლავ რჩება B და C ჰეპატიტი, ასევე აივინფექცია, ჰერპესის ვირუსი, ადამიანის ტე უჯრედული ლიმფოტროპული ვირუსი HTLV-1 და 2 და ციტომეგალოვირუსი.

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი ამ შემაშფოთებელი მონაცემების საპირიზონედ ერთადერთ არგუმენტს ასახელებს — სან-დიეგოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა ადამიანის ნაწლავურ მიკროფლორაში აღმოაჩინეს აქამდე უცნობი მიკროორგანიზმი, რომელსაც სწორედ HHPgV-1 ვირუსი იწვევს და რომელიც ანადგურებს მავნე ბაქტერიებს. ამიტომ სან-დიეგოს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ახალი ვირუსი ბაქტერიოფაგია და მისი სამიზნე Bacterioidetes გახლავთ — ყველაზე გავრცელებული ნაწლავური ბაქტერია, რომელიც ბუდობს მსხვილ ნაწლავში და იწვევს დიაბეტსა თუ სიმსუქნეს. ინფიცირებულები კი მხოლოდ დონორები გახლავთ, რომლებიც პერიოდულად ნებაყოფლობით აბარებენ სისხლს. ახალი ვირუსი მათ აღენიშნება, ვინც ჰემოფილითაა (იშვიათი გენეტიკური დაავადება) დაავადებული და ამის გამო დონორული სისხლი ხშირად სჭირდება.

როგორც ჩანს, მეცნიერებს საკმაო კვლევების ჩატარება მოუწევთ იმის დასადგენად, რა გართულებები ახლავს ახალ ვირუსს, ბრიტანელი მეცნიერები კი აქედანვე იჭერენ თადარიგს და აპირებენ 2017 წლისთვის ხელოვნური სისხლი გამოიყენონ გადასხმისას, თუმცა ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ კვლევების დონეზეა და რაიმე პროგნოზების გაკეთება ნაადრევია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ახალი ვირუსი ბავშვებში დამბლას იწვევს და არც მკურნალობის საშუალებებია ცნობილი.

ამ ყველაფრიდან კი მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, მეცნიერები გაურკვეველი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ და არაფერ იცის, გვემუქრება თუ არა პანდემია, მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ინფექციების მაჩვენებელი კატასტროფულად იზრდება და ამის პროპორციულად მატულობს გადასხმების აუცილებლობაც. რა გარანტიაა, რომ მორიგი გადასხმისას HHPgV-1 რომელიმე ადამიანის ორგანიზმში არ აღმოჩნდება?



დიდი დილემის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა, დიდი დილემის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, გარემოს დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ცხელ ხაზზე შესული შეტყობინებების საფუძველზე, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინტენსიური მონიტორინგი ხორციელდებოდა. შედეგად, გამოვლენილი იქნა სამართალდამრღვევი, რომელმაც გარემო სამშენებლო ნარჩენებით დააბინძურა. მოქალაქეს დაკისრებული საჯარიმო სანქციის გარდა, დაევალა მის მიერ დაყრილი ნარჩენებისგან ტერიტორიის დასუფთავება. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის ორგანოს. 1 ან 1-ზე მეტი კუბური მეტრის მოცულობის სამშენებლო ან სხვა ინტენსიური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება ფიზიკური პირის შემთხვევაში 500, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 1500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს.

„ინტერპრესნიუსი“

დაწყება მასწავლებლებისთვის ტრენინგების სიკლი დაიწყო



მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაამყარა მასწავლებელთა მხარდაჭერის პროგრამაში ჩართული მასწავლებლებისთვის ტრენინგების ციკლი დაიწყო. ტრენინგი საქართველოს მასშტაბით თბილისში, აჭარაში, იმერეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში ჩატარდა.

ტრენინგმოდულის ციკლის მიზანია პრაქტიკასა და დასახულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული, საგაკვეთილო პროცესის წარმართვისა და პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი უნარების დახვეწა და გამო-მუშავება. მასწავლებლებმა უკვე გაიარეს ციკლის პირველი ტრენინგი, რომელიც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას, მასწავლებლის სტანდარტსა და ზემოხსენებულ დოკუმენტებთან მის კავშირს მოიცავს. გარდა ამისა, ტრენინგმოდულის ფარგლებში მასწავლებლები ეცნობიან თვითშეფასების კითხვარს და თვითშეფასების, როგორც ინსტრუმენტის არსს, ასევე მის კავშირს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და სქემასთან, მასწავლებლის პროფესიული საქალაქის არსს, დანიშნულებასა და მისი შექმნის მეთოდებს. ტრენინგების ციკლის ფარგლებში დამსწავლებელთა მასწავლებლები ასევე გაეცნობიან ეფექტური კომუნიკაციის მეთოდებს; კონფლიქტების მოგვარებს გზებს; უსაფრთხო, კეთილგანწყობილი და მამოტივირებული გარემოს შექმნის პრინციპებს; ინტერკულტურული განათლების საკითხებს; კლასის მართვის მეთოდებს; სასწავლო პროცესის დაგეგმვის საკითხებს, რესურსების მართვას და გამოყენებას; თანამედროვე სწავლება-სწავლის სტრატეგიებს და ინტელუიური განათლების ძირითადი პრინციპებს.

ციკლის მეორე ეტაპია მასწავლებლის მიერ ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საკუთარ პრაქტიკაში დანერგვა, შედეგების გაანალიზება და წამოჭრილი პრობლემების საკონსულტაციო შეხვედრაზე მომდევნო ტრენინგზე ტრენერთან ერთად განხილვა, რომლისგანაც შე-საბამის რეკომენდაციებს მიიღებს. პარალელურად პროგრამის მონაწილე პრაქტიკაში დანერგვის შედეგების ამსახველი მასალებისგან აწარმოებს პროფესიულ საქალაქს. მესამე ეტაპი ტრენინგის მონაწილეთა შეფასების პროცესს მოიცავს.

დამსწავლელთა მხარდაჭერის პროგრამა მიმდინარე სასწავლო წლიდან საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა და მიზნად ისახავს 2 წლამდე მასწავლებლის მქონე, ახალბედა მასწავლებლების ხელშეწყობას ტრენინგებით, სემინარებით, ვორკშოპებით, კონფერენციებითა და ინდივიდუალური კონსულტაციებით.

„პია“

პერსონალი

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მსხოვრები პასივნების უფასო სამედიცინო მომსახურებაზე 7 მილიონზე მეტი დაიხარჯა

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, ქეთევან ციხელაშვილის განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამის შესახებ ციხელაშვილმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა.

„ბოლო სამი წლის განმავლობაში 7 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა იმისათვის, რომ ჩვენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პაციენტებისთვის გაგვეწია უფასო სამედიცინო მომსახურება. ძალიან საინტერესო სტატისტიკა გვაქვს. როგორც წესი, ჩვენ პაციენტების ვინაობას არ ვასაჯაროებთ და არც გავასაჯაროებთ, მაგრამ მინდა, დინამიკის თაობაზე მოგახსენოთ.“

წლების განმავლობაში ეს დინამიკა მნიშვნელოვნად იზრდება ორივე რეგიონიდან. ფაქტობრივად ცხინვალის რეგიონიდან შემოიძლია თამამად გითხრათ, რომ გაოთხმეგებულია იმ პაციენტთა რიცხვი, რომლებიც მიუხედავად ბარიკადებისა, რომელიც აღმართულია ცხინვალის რეგიონის გარშემო, ისინი ახერხებენ ჩამოსვლას საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ძირითადად თბილისში“.

ციხელაშვილის თქმით, წლებადედი სტატისტიკის მიხედვით, ასეთი 1 110-ზე მეტი ადამიანია ორივე რეგიონიდან, რაც უკვე აღემატება ძალიან მნიშვნელოვნად წინა წლების მონაცემებს.

როგორც ციხელაშვილმა განაცხადა, ასევე აღსანიშნავია ის, რომ C ჰეპატიტთან ბრძოლის პროგრამა ხელმისაწვდომია ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვისაც. „საკმაოდ ბევრი მსურველია, ვინც ცდილობს ამ პროგრამაში ჩართვას ოკუპირებული ტერიტორიებიდან“, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ.

„ინტერპრესნიუსი“





რთველი და სიბერე

ლევან სეფიასვირაძე

მეღვინეობის დარგის ასეთი ხელაღებით და ღია სუბსიდირების მომხრე არასოდეს ვყოფილვარ. მიმჩნეობდა და ახლაც მიმჩნეობ, რომ ყურძნის გასაყიდ ფასზე ფულის ყოველწლიური ნამატება ჩვენი ისედაც გაუბედურებული ბიუჯეტისათვის დიდი დარტყმაა და ეს არის სენი, რომლისგანაც აუცილებლად უნდა განვიკურნოთ. მაგრამ ამასთანავე, თითქმის ყველა-ნაირი: მორალური, ძველბჭური, ღირსების, სინდისის და სხვა კოდების ღალატებს, რომ დაპირებული უნდა შესრულდეს. როდესაც ადამიანებს რამეს პირდები და არ უსრულებ, მათ რისხვას არ უნდა დაემალა.

რთვლის მიმდინარეობის დროს კახეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში საპროტესტოდ გამოსული გლეხების რისხვა მართებული თუნდაც იმის გამო იყო, რომ მათ დაპირდნენ და „გადაადგეს“. რქანითელის ყურძნის ერთლარიანი ღირებულება ის ზღვარია, რასაც ვერაფერი დამალავს და რამდენიც უნდა ამტკიცონ საპირისპირო და აბრალონ ოპოზიციასა თუ მანჯურის აგენტებს, ფაქტია, სწორედ ხელისუფლების მიერ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებას ყურძნის ღირსად ჩაბარება. ეს ვალდებულება ვერ შესრულდა. ეს ფაქტია! დანარჩენი მხოლოდ ლირიკაა!

ყველაზე ცუდი კი მაინც ისაა, რომ ტყუილი დაპირებების მავნე და საზარელი ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში ალბათ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ მოიშლება. ყოველ შემთხვევაში, ვითარებას ასეთი პირი უჩანს. აბა, პოლიტიკოსის მხრიდან არჩევნების მოახლოების ჟამს როგორი სათქმელია მწარე, მაგრამ აუცილებლად მოსამბინი სიმართლე, რომ ყურძნის მუდმივ სუბსიდირებას დადებითი შედეგი არ მოაქვს, რომ ასე ყოველ წელს ფულის ჰაერში ყრას, სჯობს, გლეხებს თუნდაც საღვინე ჭურჭელი იაფად მიეცეს, რათა მათ ღვინო დააყენონ და იმის იმედი ჰქონდეთ, რომ ღვინოს, როგორც არამალფუჭებად პროდუქტს — მთელი წელი გაყიდვან.

ეს არის საჭირო და აუცილებელი სიმართლე, რომლის მთქმელი პოლიტიკოსიც საქართველოში არ მეგულება და აი, სწორედ ამიტომ ვართ ამ დღეში როგორმაც ვართ და ამიტომ მიმჩნეობა უსინდისობად ყველა ხელისუფლების მხრიდან ყოველ შემოდგომაზე საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად ბიუჯეტში ხელის ფათური.

საქართველოში სამწუხაროდ სამართლიანობა და დოვლათის თანაბრად განაწილების პრინციპიც ბუნდოვნად გვესმის, თორემ წესით და რიგით, ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების მოსახლეობა ყოველთვის უნდა აპროტესტებდნენ იმ ფაქტს, რომ რთვლის დროს მხოლოდ კახელი გლეხი სუბსიდირდება ხდება. რა დააშავა ასევე მევენებეობა-მეღვინეობით ცნობილმა სხვა კუთხეებმა: იმერეთმა, გურია, ზემო აჭარამ, სამეგრელო, ქართლმა, ლეჩხუმმა, რაჭამ? ყველა გლეხი თანაბრად გლეხია და სახელმწიფოსთვის მხოლოდ კახეთში მოწეული სხვა რეგიონებზე უხვი მოსავალი რატომ უნდა იყოს გლეხების დახმარების კუთხით პრიორიტეტული? კითხვა აბა იმერელ გლეხს, სჭირდება თუ არა დახმარება. ანდა რატომ არ უნდა შეეწყოს ხელი გურიაში ჩხავერის ჯიშის ალორძინებას? მით უმეტეს, რომ კილოგრამი ჩხავერის ფასი რქანითელზეც ძვირია და საფერავზეც...

სხვა ქვეყანაში გლეხები აუცილებლად გააპროტესტებდნენ ამ უსამართლობას და მათი მოთხოვნები იქნებოდა უფრო სწორი და ალბათ უფრო ღირსეულიც, რადგან გლეხი ყველგან გლეხია და სახელმწიფომ რეგიონებისა და კუთხეების დისკრიმინაცია არ უნდა მოახდინოს. ამას გარდა, რა დააშავებს მაგალითად გორელმა მევენებეებმა, თიანეთმა და მცხეთელმა მევენებეებმა ან მეგრელმა, აჭარელმა და გურულმა მევენებეებმა? მათაც ისევე უყავთ შესანახი ოჯახები, როგორც კახელ მევენებეებს და მათი პრობლემები არაფრითაა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე სხვა გლეხების.

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე პოლიტიზირებული და მუდმივად ტელევიკრანებს მიჩრებული ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სამწუხაროდ ნაკლებად მსჯელობენ და რატომღაც სჯერათ, რომ დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს სჯობია. არადა, არ სჯობია ბატონო, არ სჯობია...

„თუ კანონს არ დავემორჩილეთ, ისევ ბანდიტებად გადავიქცებით, არ მიწა, ვიყო არც ბანდის ნაპირი და არც ბანდის აზამანი“



„აბა თქვენ იცით, მოსამართლეებო, თუ ისეთ განაჩენს არ დადებთ, როგორც ჩვენ გვანყობს, მაშინ ვიტყვი, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა“, — აი, ასეთ სიტყვებზე იყენებ მიჩვეული წლების განმავლობაში, დღეს ეს დაკარგეს და ვერ ეგუებოდა ამას“, — აცხადებს „ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველა პარტია, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გვერდით დადგება, პოლიტიკიდან გასვლის კანდიდატი იქნება. გთავაზობთ ინტერვიუს ზაზა პაპუაშვილთან:

— უმცირესობიდან თქვენი კოლეგები აცხადებენ, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს არაფერი აქვს საერთო ქონებრივ დავასთან, არამედ ხელისუფლება ამ მიზნით დევნის თავისუფალ სიტყვას. ეს თემა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც მედიის თავისუფლების შეზღუდვა?

— ბევრნაირად შემიძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. იცით, ახალს ვერაფერს დავამატებ იმას, რაც უკვე ნათქვამია. კერძოდ, ადამიანი, რომელიც ჩვეულებრივი გამველელი არ არის და რაღაც ისტორია აკავშირდება ამ ტელეკომპანიასთან, ირჩევს ყველაზე ცივილურ ფორმას და სასამართლოს გზით იწყებს სამართლებრივ დავას. ბანდიტური პრინციპით ქუჩაში, ან ტყეში არ იწყებს საქმის მოგვარებას, არამედ ცივილური ფორმით მივიდა სასამართლოში.

თურმე, ნუ იტყვი და, ადამიანს, რომელსაც გარკვეული წვლილი აკავშირებდა „რუსთავი 2“-თან, არ შეუძლია დავა ანარმოს სასამართლოში! თურმე, ნუ იტყვი და, ვილაცა გალემილმა „ნაციონალურ-ბოლშევიკური მოძრაობის“ დეპუტატმა უნდა აგინოს პოლიციას და პასუხი არ უნდა მოსთხოვონ! თურმე, ნუ იტყვი და, ვილაცა მდამიო დეპუტატმა უნდა შეიგინოს პარლამენტში და პასუხი არ უნდა მოსთხოვონ! თურმე, ნუ იტყვი და ამ ტელეკომპანიის დირექტორი, რომელიც იწყებულა უკვე და ლამის ყველაფერი დაიპუტოს, პასუხი არ უნდა გასცე.

იცით, მე უკვე გამჩნევ, რომ ფიზიკურად მთლად ჯანმრთელად ვედარ უნდა გამოიყურებოდეს ეს კაცი. ბუდავს და აქვთ კარნახობს მოსამართლეს როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — აბა, თქვენ იცით, მოსამართლეებო, თუ ისეთ განაჩენს არ დადებთ, როგორც ჩვენ გვანყობს, მაშინ ვიტყვი, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა — აი, ასეთ სიტყვებზე იყენებ მიჩვეული წლების განმავლობაში. დღეს ეს დაკარგეს და ვერ ეგუებოდა ამას. მათ არც კანონი აინტერესებთ, არც კონსტიტუცია, არაფერს აინტერესებთ საკუთარი ვიგინდარა ეგოსტი და ამპარტავანი თავის გარდა.

— ნიკა გვარამია აცხადებს, რომ საქმის მოსამართლე ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია, რომელმაც საკუთრების უფლება დააყენა მედიის თავისუფლებაზე წინ...

— დღიდან დამოუკიდებლობისა სასამართლო არასოდეს ყოფილა ასეთი პატივცემული და ფასდადებული. ყოველთვის, კანონს და კონსტიტუციას, ვისაც როგორც „მოეზობებოდა“, ისე ირგებდა. ახლა საკითხი სხვანაირად დგას. თუ კანონს არ დავემორჩილეთ, ისევე ბანდიტებად გადავიქცევით, სხვა ბანდა მოვა და გაგვისწორდება ბანდის კანონებით. არ მიწა, ვიყო არც ბანდის წევრი და არც ბანდის ატამანი. დღეს ამ ქვეყანაში მეტი გიცავს კანონი და კანონი ვთხოვს პასუხს. სწორედ, ეს არის მათთვის ყველაზე დიდი პრობლემა და ამიტომაც ხდება მთელი ეს ალაჩქოთი.

— თქვენ ამბობთ, რომ „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს არაფერი აქვს საერთო სიტყვის თავისუფლებასთან. მაშინ, რა მოტივით გადაწყვეტს ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას და თქვენს კოლეგებს პროცესი პოლიტიკურ ქრილში?

— სხვა არაფერი დარჩენიათ, აგონიაში არიან. დაუკვირდით, იგივე „არჩევანის“ ნამყვანს, როგორ ფინიასავით შესცქეროდა თვალეში პრეზიდენტს და ნერწყვილი სთხოვდა — ე, ბიჭო, რაღაცა თქვი ოცნების საწინააღმდეგო და მოგვეცი საშუალება, რომ ნიუსებით გავყიდოთ ჩვენი გადაცემა. მაგრამ პრეზიდენტმა ეს საკვები არ მისცა და ნახეთ, ალბათ, როგორი ნირნმზდარი იყო. უნდა, რომ პრეზიდენტი გამოიყენონ რაღაცა შირბად, მხარედ აქციონ, ჩაადენონ შეცდომა, ამოეფარონ მას და ბოლოს პირდაპირ უთხრან — დაგვიჭერ თუ არა მხარსო. წარმოგიდგენიათ რაზეა ლაპარაკი?!

ჩვენ უნდა მივჩვიოთ ერთ რამეს, არ შეიძლება ამ მკრეხელი და დამნაშავე „ერთიანი ბოლშევიკური მოძრაობის“ რეჟიმით იცხოვროს, რასაც აკეთებს „რუსთავი 2“.

— თქვენი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ დღეს მმართველ კოალიციას არ გაქვთ არჩევნებში გამარჯვების შანსი და ამიტომაც ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა დამოუკიდებელი არხის დახურვა...

— საუბრობენ, რომ თურმე, არჩევნების მოახლოების გვეშინია და ამიტომ, თურმე, „რუსთავი 2“-ს ვებრძვი. ვის რა ჯანდაბად სჭირდება „რუსთავი 2“?! არც ერთი მათგანი არ იმსახურებს ჩემგან პატივისცემას. ისინი ყოველთვის ატყუებდნენ, აშანტაუებდნენ და ამცირებდნენ მოსახლეობას. სამი არჩევნები მოვეუგეთ ამ მართლა უნიათო და ნირნამზდარ „ერთიანი ბოლშევიკურ მოძრაობას“.

ხელისუფლება არც ერთ ტელევიზიას არ აკონტროლებს. ბიძინა ივანიშვილმა თავისი კუთვნილი ტელევიზია დახურა. ისეთ მარაზში არიან გადასული, რომ თუ ვინმე, სადმე, ხეს მოჭრის, დამნაშავე ბიძინა ივანიშვილია. სადღაც, რომელიღაც მაღაზიაში ძხვს რომ დროზე არ მიიტანენ, დამნაშავე ბიძინა ივანიშვილია. იქამდე მივიდნენ ეს მარაზმატიკები, რომ ახლა იძახიან, რატომ იძინებს ბიძინა ივანიშვილი 10 საათზე და რატომ არ იძინებს 11-ზეო. ყელში აქვთ გაჩხერილი ის სიკეთე, რაც ივანიშვილს აქვს გაკეთებული. ბიძინა როდესაც სიკეთეს სწადის, აი, მაშინ ხდება მათთვის საშიში. სიკეთის ჩამდენი ადამიანი მათთვის საშიშია.

ამ ადამიანებს არაფერი აინტერესებთ. მათ უნდათ რევანში და კვლავ ძალადობა ხალხზე. მთელი ამ 9 წლის განმავლობაში ჩემს მეგობრებთან ერთად რისთვის ვიბრძოდი? — ეს არის სამართლიანი სასამართლო, სამართლიანი არჩევნები და თავისუფალი მედია. დღეს ზოგიერთ შურნალისტს უნდა, რომ ჩემგან გამოიყვანოს მონსტრი, რომ თურმე, შურნალისტებს ვერ ვიტან — ცდებიან. ოდემე თქვენთან მქონია რაიმე კონფლიქტი ან გაუგებრობა?

— ვერ ვიხსენებ ასეთ ფაქტს, არა... — მაშინ რატომ მქონია სხვასთან? ვერ ვიტან ზონდერ, დაშააკულულ, ტურბოდასიბულ, გაყიდულ და ანგაჟირებულ შურნალისტებს, რომლებიც შურნალისტების მანტიას ეფარებიან. აი, ვისთან მაქვს მე კონფლიქტები და არა შურნალისტებთან, რომლებიც თავის პროფესიულ მოვალეობას ასრულებენ.

ადამიანები, რომლებიც გვევარდნენ სხვა ტელევიზიაში, ამ ადამიანებმა შენ რა უნდა შეთხრან? ქიზარ ხალვაში ჩემთვის აბსოლუტურად უცნობი ადამიანი სასამართლოში ანარმოებს დავას და წერტილი. დანარჩენი რა იქნება ფინალი, ვნახოთ სასამართლოს განაჩენი, ეს არის და ეს. „რუსთავი 2“ არ არის სიტყვის თავისუფლების ტრიბუნა!

ერთი სიტყვით, ასეა, არანაირი ბრძოლა არ დამთავრებულა, ქართულ ხალხს აქვს უნიკალური შანსი, რომ 2016 წლის არჩევნებში სამარადუამოდ გაიყვანონ ეს ადამიანები პოლიტიკიდან. ქართველმა ხალხმა მათ ერთხელ უთხრა უარი და გააგდეს პოლიტიკიდან. ახლა უნდათ მობრუნება და ხალხს ეუბნებიან, რომ ისევე ჩვენ უნდა გმართოთ.

— ნაციონალები ამტკიცებენ, რომ ეს საზოგადოების მოთხოვნაა...

— რომელ საზოგადოებაზე ლაპარაკობენ, ვინ არის მათი ნუ-ხილის ადრესატი? ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა ეს არის არჩევნებში მონაწილეობა, სხვა გზა საქართველოში არ განიხილება. პოპულისტური, ტრიპაჩული და ქედმაღლური პოლიტიკის დრო სულ თუ არა, ნელ-ნელა გადის.

— თქვენი ოპონენტები ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები დაიწყებს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან. ბატონო ზაზა, შესაძლებელია ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები?

— ჯერ ერთი, რომც ჩატარდეს, ვადამდელ არჩევნებში რა შანსი აქვს ნაციონალურს და ზოგიერთ იმ ხარახურა პარტიას? ყველა, ვინც ნაციონალებს გაეკარება, პოლიტიკიდან გასვლის კანდიდატი იქნება. საქმე შეიძლება არ არის ძალიან კარგად, მაგრამ არა ისე აპოკალიფსურად, როგორც უნდა ამ „ერთიანი ბოლშევიკურ მოძრაობას“ და მის ყოველდ სამარცხვინო და უგემოვნო ტელევიზია „რუსთავი 2“-ს.

ხარვეზები არის, მაგრამ ეს არ არის ხელისუფლების ბრალი, ყველაფერი ხელისუფლებას ნუ გადავაბრალბებთ. ჩვენ ვქმნით ხელისუფლებას, ჩვენ ვქმნით ქვეყანას. ასე რომ, პრობლემა ჩვენშია. ნუ ვითხოვთ ხელს ქვეყნის უბედურებაზე. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია ისეთ პროვინციულ კიკიმორულ მდგომარეობაშია, რომ აღარ ვიცის, საით გავიხედო. ყველას თუ არა, უმრავლეს მათგანს ესეა ეს.

არაფერი საპანიკო არ არის, ყველაფერი გამოსწორებადია, ყველაფერი კარგად იქნება იმიტომ, რომ ეს არის უძვირფასესი ქვეყანა, რომლის გარეთ ჩვენ ვერ უნდა ვძლებდეთ და არც უნდა ვბედავდეთ მის შეურაცხყოფას. შეგვიძლია მისი მსახურება? — ვემსახურებოთ. თუ არ შეგვიძლია, გავიაროთ მანინც, უბრალოდ, გავიაროთ.



ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

	2	7	4	3				
	5		2			6		
					8			
3	4					9		7
	1	9		6		4	5	
7		5					6	1
			9					
		2			4		9	
				2	3	8	4	

			9	3		1		
						9		5
2			1				3	
1		2	6	3				
5	8					9	3	
			5	4	1		2	
	4			2			6	
8		3						
	1		3	4				

		8						7
1	2			5	8			
			9			6		
5		2		9		8		
	1		3		2			
8		6		4		1		
6			2					
	8	4			9		6	
9					6			

		9	2	4		1		
4	1				5			2
8	2	3			9			5
5			1			9	2	3
2			5				9	8
		6		9	4	2		

მეზარმემ ხელქვეითები ქუჩაში ახოსიალბა



ჩინელი იმტერნეტმომხმარებლების აღშფოთება გამოიწვია ფოტოებმა, რომელზეც ერთ-ერთი ფირმის თანამშრომლები ქუჩაში ხობავენ. კომენტარებით ირკვევა, რომ მეზარმემ ასე დასაჯა თანამშრომლები სადღესასწაულო დღეებში გაყიდვების გეგმის შეუსრულებლობის გამო. დამცირებული ადამიანების სურათები „ტიტერის“ ანალოგიურ ჩინურ საიტზე გავრცელდა. ეს ადამიანები, სამსახურიდან გათავისუფლების შიშით, ტბის გარშემო მუხლისჩოქით ატარეს, რომელიც ქალაქ ჩუენჩოუს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. როგორც ჩანს, ბიზნესმენმა საქმეში ნარუმბატობა ხელქვეითებს დააბრალა და ჯავრი იყარა. ფოტოებზე ისიც კარგად ჩანს, ამ დამამცირებელი სასჯელის დროს, სადისტი-უფროსის ყველა მსვერპლს ტანსაცმელი რომ შემოეხა. ჯერჯერობით უცნობია, სოციალურ ქსელში გავრცელებულ ფოტოებს კონკრეტული ქმედება მოჰყვება თუ მხოლოდ მომხმარებელთა აღშფოთებით შემოიფარგლება.



რამდენი სურნალის ბარჩევა შეუძლია ალაშიანს

ამერიკელმა ბიოლოგებმა ადამიანის ცხვირის მგრძობილობის შეფასების უნიკალური სისტემა შექმნეს. ამისთვის ექსპერტებმა „შემადგენელი“ არომატული ნარევი გამოიყენეს, რომელიც ექსპერიმენტისას დაეხმარა იმის გარკვევაში, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სურნელის გარჩევა შეუძლია: პირველ ეტაპზე სწავლულებმა გამოყვეს 128 მოლეკულა, რომლებიც პასუხისმგებელია ადვილად გასარკვევ და დამახასიათებელ სუნზე, როგორც არის ანისი, პიტნა და სხვ. მას შემდეგ, რაც საკმაო რაოდენობის ინგრედიენტები შეაგროვეს, სპეციალისტებმა ისინი სხვადასხვა პროპორციით შეურიეს და ამ გზით რამდენიმე ასეული „უნიკალური“ ნარევი მიიღეს. კვლევის მეორე ეტაპზე მოხალისეებს სამი ჭურჭლიდან აძლევდნენ ნაკრებს დასასუნად, სადაც ორი იდენტური არომატული ნარევი იყო, ერთი კი — მოლეკულების განსხვავებული ნაკრები. ბიოლოგები იმის გარკვევას ცდილობდნენ, ადამიანის ცხვირი რა მომენტში ვერ შეძლებდა სუნის გარჩევას. აღსანიშნავია, რომ მოხალისეები წარმატებით პოულობდნენ განსხვავებას. ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ყნოსვის ორგანოს ტრილიონზე მეტი სხვადასხვა სუნის გარჩევა შეუძლია. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უნარი, სურნელების იდენტიფიცირება მოახდინოს, დამოკიდებულია მისი ცხოვრების წესზე — პარფიუმერი ვერასდროს გახდებით, თუკი მონევის მავნე ჩვევა გახასიათებთ.



ყველაზე დიდი ტორტი გამოაჩვენეს



აპენინელმა მცხოვრებელმა და მხატვრებმა ტორტების დიზაინერების ეროვნული ასოციაციიდან, მილანის ერთ-ერთ შოუზე მსოფლიოში ყველაზე დიდი ტორტი წარმოადგინეს. ამ ტკბილეულის ფართობი, რომელიც იტალიის რუკის სახით არის დამზადებული, 244 კვადრატული მეტრია, წონა კი ტონაზე მეტი. დესერტი უზარმაზარ ღრუბელზე მოათავსეს, რომელიც შაქრის პუდრით იყო დაფარული. ხმელეთიანი იტალია სხვადასხვა ფიგურით, მათ შორის პიზის კომკითა და ალპების სისტემით იყო მორთული. ამ გიგანტური ტკბილეულის შესაქმნელად დიზაინერებსა და მცხოვრებლებს ოთხი დღე დასჭირდათ, შემდეგ კი საკუთარი ნახელავი გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებს უჩვენეს. იტალიელების ქმნილება უკვე აღიარეს მსოფლიოში ყველაზე დიდ ტორტ-სკულპტურად.





ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

		4					8		
		8							
3	7		9	8			2	4	
		3			7		6		
			6		1				
	6		5			1			
7	8			2	6		3	1	
						2			
						9			
1									

8	5							2	
	3	2	1		8				
			5					8	
	4	3	6	5	2	1			
		6	9	1	3	2	4		
3				5					
			3	9	6	7			
7							5	3	

		9		6	2	1			
	6				8			2	
1					4	9			
6		7							
	8						9		
						6	5		
		1	4					8	
3			5				2		
6	8	7		3					

4									
5	2	1			9		7		
	3		4		1			5	
3	1		2	9	7				
			8	5	6		1	9	
2			5	4			9		
	7		9			6	5	2	
									7

ქალაქები გურმანებისთვის

გამომცემლობა The Telegraph-მა მსოფლიოს იმ ქალაქების სია შეადგინა, რომელიც საუკეთესოა გურმანებისთვის. რეიტინგის სათავეში ტოკიოა — ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქი, სადაც ადგილობრივი ნასახმეხეხელი გულგრილს არ დატოვებს გემრიელად ჭამის მოყვარულს. ტოკიოში საქმლის მრავალფეროვნება შთამბეჭდავია, თანაც არა მხოლოდ ტრადიციული სუშისი. აქ სტუმრებს შეუძლიათ გასინჯონ ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტისგან დამზადებული სხვადასხვა კერძი. სიაში მეორე ადგილი კვლავ აზიურმა ჰანოიმ — ვიეტნამის დედაქალაქმა დაიკავა. ეს ის ადგილია, სადაც დაცულია ოპტიმალური ბალანსი მლაშესა და ტკბილს, მწარესა და მჟავეს შორის. ადგილობრივი დელიკატესებით ტკბობა მსურველს არა მხოლოდ რესტორნებში, არამედ პირდაპირ ქუჩაშიც შეუძლია. ლიდერთა სამეულში შევიდა ლონდონიც. გარდა ინგლისური საუზმისა, აქ ყველა გემოვნების საჭმელს ნახავთ, ქუჩის ნასახმეხეხიდან დახვეწილ კერძებამდე. იმ ქალაქებს შორის, რომელსაც უპირატეობას ანიჭებენ გურმანები, იტალიური ბოლონიაც მოხვდა, სადაც დააგემოვნებთ ბოლონეზეს სოუსს, ლაზანიას და, რასაკვირველია, სახელგანთქმულ სპაგეტის.



მკერდის გადიდება ვაზუელინით სცადა

39 წლის არგენტინელი სონია ლანზონი მკერდის გადიდების წარუმატებელი მცდელობის შედეგად გარდაიცვალა. ქალმა გადანყვიტა, ეს პროცედურა დამოუკიდებლად ჩაეტარებინა და მკერდში ვაზუელინის ინექციები გაიკეთა. ამ პროცედურიდან რამდენიმე კვირაში ფილტვებში თრომბი გაუჩნდა და ფილტვის ემბოლია განუვითარდა. სონიამ საავადმყოფოს მას შემდეგ მიაკითხა, რაც სუნთქვა გაუძნელდა. სიტუაციას ის ფაქტით ამძიმებდა, რომ ქალმა თავიდან არ გაამხილა, რომ ვაზუელინის ინექცია ჰქონდა გაკეთებული.



როცა ყველაფერი გაირკვა, უკვე გვიან იყო. როგორც ჰოსპიტლის მთავარი ექიმი ამბობს, მსგავსი რამ არასდროს უნახავს. მედიკოსების თქმით, ადამიანის ორგანიზმი არ არის მომზადებული ვაზუელინის მსგავსი სუბსტანციების შეყვანისთვის. ამიტომ იმუნიტეტი ამ შემთხვევაში უსარგებლოა — მას არ შეუძლია უცხო ელემენტების უკუგდება. სონიამ მკერდში შეყვანილი ვაზუელინი სისხლში მოხვდა, შეადგა და თრომბი წარმოქმნა. ქალი საავადმყოფოში ერთდროინი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა. მისი გადარჩენის ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტი კარგი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა და აქტიურად მისდევდა სპორტს.

უფასო ლუდი ვირთხის სანაჯვლოდ

წინა ნობელოვი გასული სკანდინავიისა და სუდოქუს პასუხები

ადვილი

8	3	7	2	9	1	6	5	4
4	6	1	8	5	7	3	2	9
9	5	2	3	6	4	8	1	7
7	2	3	6	1	8	9	4	5
1	4	5	9	7	3	2	8	6
6	9	8	5	4	2	1	7	3
5	1	9	7	8	6	4	3	2
3	8	6	4	2	5	7	9	1
2	7	4	1	3	9	5	6	8

სტანდარტი

4	5	3	1	6	2	7	9	8
9	2	8	7	4	5	3	1	6
6	1	7	9	3	8	5	4	2
8	9	6	5	2	4	1	3	7
1	4	2	3	9	7	6	8	5
7	3	5	8	1	6	4	2	9
3	8	1	6	7	9	2	5	4
5	7	4	2	8	3	9	6	1
2	6	9	4	5	1	8	7	3

რთული

6	5	4	3	1	7	2	8	9
3	7	2	4	9	8	1	6	5
1	9	8	6	2	5	4	7	3
5	4	6	2	8	3	9	1	7
7	3	9	1	6	4	5	2	8
2	8	1	7	5	9	6	3	4
4	6	7	5	3	2	8	9	1
9	1	3	8	4	6	7	5	2
8	2	5	9	7	1	3	4	6

ექსპერტი

8	7	9	6	3	2	4	5	1
6	5	2	1	9	4	8	7	3
1	4	3	5	8	7	6	2	9
5	1	8	3	7	9	2	4	6
4	9	6	2	1	8	7	3	5
3	2	7	4	6	5	9	1	8
7	8	5	9	4	1	3	6	2
2	6	4	8	5	3	1	9	7
9	3	1	7	2	6	5	8	4

მე-10 გვერდი: 1. ჰარპუნი; 2. ინერცია; 3. ჰეგელი; 4. როსინი; 5. უილიამ; 6. ირემი; 7. იალქანი; 8. ერგნეთი; 9. ცირკი; 10. აგესილა; 11. აცეტონი; 12. თბილისი; 13. ნაგასაკი; 14. ალგორია; 15. მენელა; 16. რადა; 17. კოლი; 18. ლანთან; 19. ამერიკა; 20. ამბიცია; 21. ათენი; 22. აგავა; 23. ამაო; 24. აკელა; 25. გუი; 26. ბუცი; 27. პაი; 28. ზრო; 29. ბოქსიორი; 30. ცარცი; 31. სტილბი; 32. აბი; 33. ალადინი; 34. ანტალია; 35. „სეიკო“; 36. ქარვასლა; 37. აბა; 38. ქსენდი; 39. ატოლი; 40. არსენა; 41. სოლ; 42. აისი; 43. რეი; 44. კაა; 45. ნიუ; 46. ლეი; 47. ნეი; 48. სუროგატი; 49. შტილი; 50. ოლე; 51. მიმინო; 52. მიურიდი; 53. ვანგა; 54. ვო; 55. მაე; 56. ლიმა; 57. ბივა; 58. ბარაბა; 59. ნავი; 60. ნუბია; 61. ივანე; 62. დიალიზი; 63. სიუ; 64. ამია; 65. ინა; 66. ნაი. მე-12 გვერდი: 1. კასაცია; 2. ფრანკლინი; 3. რაბლე; 4. ნუკრი; 5. სინიორა; 6. ცერბერი; 7. აბაკა; 8. ოსტანკინო; 9. სიბელიუსი; 10. ლეია; 11. ნარდი; 12. იემენი; 13. პიცა; 14. ტიბრი; 15. ლისეო; 16. ოკეი; 17. ჯერ; 18. ნალა; 19. ანომალა; 20. ორიენტირი; 21. ლავრა; 22. ნანტი; 23. მინა; 24. ანონსი; 25. ორმო; 26. ლონდონი; 27. ვოლიერი; 28. ინარი; 29. ნალია; 30. აეროსტატი; 31. აიათოლა; 32. „ქარადაი“; 33. დრედნოუტი; 34. ნაია; 35. ათი; 36. სმა; 37. დრო; 38. ოდენსე; 39. აკრა; 40. ანა; 41. ნატო; 42. არკა; 43. თხა; 44. ოტია; 45. ტიფონი; 46. ვისი; 47. ამასია; 48. ოინი; 49. ილფი; 50. ერე; 51. იასნაია; 52. სიო; 53. ნორა; 54. ლია; 55. შნო; 56. ოფელია; 57. ანტალია; 58. აკიდო; 59. ნანა; 60. კანაფი; 61. მედიანა; 62. კოატა; 63. ენი; 64. აკრი; 65. ადესა; 66. ატრევისი; 67. ისლი; 68. კოლინ; 69. საკე; 70. ოქრო; 71. რაიკინი; 72. სარავეო; 73. ლუპა; 74. ლი; 75. კატაი; 76. ირაო; 77. ოქტავა; 78. ვაი; 79. იურთი; 80. ბის; 81. რაბი; 82. ყადი; 83. პორცია; 84. აპარეკა.

ახალზელანდიელმა ფილანთროპმა გარეტ მორგანმა, რომელიც დედაქალაქ ველინგტონში ცხოვრობს, უნიკალური მეთოდი მოიფიქრა ქალაქის ვირთხებისგან გასათავისუფლებლად. ის უფასო ლუდს სთავაზობს ყოველ სტუდენტს, ვინც ამ მღრღნელს დაიჭერს და მოკლავს. მორგანი დარწმუნებულია, რომ ვირთხები საშიში მავნებლები არიან და ქალაქის ეკოლოგიას ზიანს აყენებენ. რაკილა ის მეტად არის გატაცებული საკუთარი ქვეყნის ველური ბუნების შენარჩუნებით, მზად არის, ამისთვის თავად დაფინანსოს ყოველი ლუდის ბოთლი. მორგანი აცხადებს, რომ სტუდენტებისთვის ეს საკმაოდ მაცდუნებელი წინადადებაა, რაზეც უარის თქმა შეუძლებელია. ახალგაზრდები კი, თავის მხრივ, ვირთხებთან ბრძოლაში დიდ არმიად უნდა იქცნენ. რასაკვირველია, ახალგაზრდების უმრავლესობა მზად არის ამ ბრძოლისთვის უფასო ლუდის გამო, მაგრამ არიან ისეთებიც, ვისაც მართლა ალუდებს საკუთარი ქვეყნის ფლორა და ფაუნა. ადგილობრივი უნივერსიტეტი კი ნებისმიერი სახით იბარებს მღრღნელებს — ცოცხალსაც და მკვდარსაც, სამეცნიერო კვლევებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს არ არის გარეტ მორგანის პირველი ექსპერიმენტული პროექტი. უფრო ადრე მან კამპანია წამოიწყო ქალაქის უპატრონო კატებისგან გასანმენდად, „ადგილობრივი“ ჩიტები რომ გადაერჩინათ. ახლაც, რამდენიმე დღის წინ, მან 100 ხაფანგი იყიდა და პაპში შეუზღუდავი ანგარიში გახსნა, ვირთხებზე მონადირეების დასაჯილდოვებლად.

